სახელმწიფო ბიბლიოთეკა თბილისი

3977

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
5 მაისი
1940 წ.
№ 102 (5803)
ფასი 10 კაპ.

პრესა ერთადერთი იარაღია, რომლის საშუალებითაც პარტია ყოველდღე, ყოველ საათს ელაპარაკება მუშათა კლასს მისთვის, პარტიისათვის საჭირო ენაზე. სხვა საშუალებანი სულიერი ძაფების გაბმისა პარტიასა და კლასს შორის, სხვა ასეთი მოქნილი აპარატი ბუნებაში არ არსებობს.

ი. სტალინი

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღე

5 მაისი — ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ტრადიციული დღეა. ამ დღეს დაიწყო გამოსვლა ბოლშევიკური პარტიის ფუძემდებლების — **ლენინისა** და **სტალინის** მიერ შექმნილმა სახელოვანმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „პრავდამ". „პრავდის" გამოსვლა, ეს იყო უდიდესი მოვლენა მუშათა მოძრაობის ისტორიაში, იგი მოასწავებდა ახალ ხანას პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ეს, როგორც დიდი სტალინი გვასწავლის, იყო საძირკვლის ჩაყრა „ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს".

5 მაისი — ლენინურ-სტალინური „პრავდის" პირველი ნომრის გამოსვლის დღე — არის არა მარტო პრესის მუშაკების დღესასწაული, არამედ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა ზეიმიც, ვინაიდან ბოლშევიკური პრესის ისტორია განუყრელად დაკავშირებულია სოციალიზმისათვის პროლეტარიატის გმირული ბრძოლებისა და გამარჯვებების სახელოვან ისტორიასთან, ვინაიდან ბოლშევიკური პრესა თავდადებულ ბრძოლებში გამოსჭედა და შექმნა ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ, ვინაიდან ბოლშევიკური პრესის სათავეებთან იდგნენ, მის მთელ მუშაობას წარმართავდნენ და ხელმძღვანელობდნენ პირადად **ლენინი** და **სტალინი**.

საბჭოთა კავშირში გაზეთი ყოველდღიურად იზრდება. დიდია მისი გავლენა მასებზე. დიდი სტალინის კლასიკური განმარტებით „პრესა ერთადერთი იარაღია, რომლის საშუალებითაც პარტია ყოველდღე, ყოველ საათს ელაპარაკება მუშათა კლასს მისთვის, პარტიისათვის საჭირო ენაზე. სხვა საშუალებანი სულიერი ძაფების გაბმისა პარტიასა და კლასს შორის, სხვა ასეთი მოქნილი აპარატი ბუნებაში არ არსებობს".

დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენში, 1913 წელთან შედარებით, გაზეთების რიცხვი ათჯერ გადიდდა, ხოლო მათი ტირაჟი — თოთხმეტჯერ. ჩვენში გაზეთები გამოდის 70 ენაზე, ხოლო წიგნები 100 და კიდევ მეტ ენაზე. მეფის რუსეთში მოსახლეობის თვითეულ სულზე მოდიოდა 0,7 ეგზემპლარი წიგნი, ამ ორი წლის წინათ კი მოსახლეობის თვითეულ სულზე მოდიოდა 4,1 ეგზემპლარი წიგნი, ე. ი. ექვსჯერ მეტი.

ბოლშევიკური პრესა თავის ტრადიციულ დღესასწაულს — 5 მაისს დიდი მიღწევებით ხვდება. დღეს ბოლშევიკური პრესა შეაჯამებს იმ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც მან დააგროვა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიული XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის ბრძოლაში. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ამ ყრილობაზე დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მოხსენებამ ბოლშევიკური პრესის ამოცანები განსაზღვრეს უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათან გადასვლის ხანაში.

ჩვენმა ბოლშევიკურმა პრესამ და მისმა მუშაკებმა, იბრძოდნენ რა ქვეყნის ძირითადი ეკონომიური ამოცანის განსახორციელებლად, უდიდესი მუშაობა ჩაატარეს სტახანოვური მოძრაობის ახალი ფორმების ფართოდ დანერგვისათვის, მისი განზოგადოებისათვის. ღრმად და კონკრეტულად შუქდებოდა ეკონომიკის საკითხები, ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანების მუშაობის კონკრეტული მაგალითების ჩვენებით საწარმოო გეგმების შესასრულებლად იზრდებოდა და ირაზმებოდა მრავალმილიონიანი არმია.

როგორც არასდროს, წინა პლანზე წამოწეულ იქნა მასების კომუნისტური აღზრდა, ადამიანის შეგნებიდან კაპიტალიზმის ნაშთების ამოთხვრის ამოცანა. მესამე სტალინური ხუთწლედის დიადი ამოცანების სახელოვნად შესრულება, შრომის ნაყოფიერების ზრდა უშუალოდ უკავშირდება მასების კომუნისტურად აღზრდის ამოცანას; როგორც დიდი სტალინი გვასწავლის, ყოველდღიურად უნდა ვანვითარებდეთ და ვზრდიდეთ საბჭოთა პატრიოტიზმს — ჩვენი სახელოვანი გამარჯვებების ამ მამოძრავებელ ძალას. ადამიანთა კომუნისტურად აღზრდის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა ხალხის მობილიზაციური მზადყოფნის განმტკიცების საკითხებს.

დღეს პრესის მუშაკებს, რომლებსაც სახელოვანი ტრადიციები აქვთ, თამამად შეუძლიათ სთქვან, რომ უდიდესი მონდომებითა და თავდადებით შეასრულეს ქვეყნის თავდაცვითი ამოცანები. ყველგან — იაპონიის იმპერიალისტებთან, პოლონელ პანებთან თუ თეთრფინელებთან ბრძოლებში, ბოლშევიკური პრესის მუშაკებმა ასახელეს ლენინ-სტალინის დიადი პარტია, რომელიც მზრუნველობით ზრდის პრესის მუშაკთა ძლიერ არმიას. ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ძლიერების განსამტკიცებლად ბოლშევიკური პრესის ეს სახელოვანი მუშაობა აღინიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მთელი რიგი გაზეთებისა და მისი მუშაკების საბჭოთა კავშირის ორდენებით დაჯილდოებით.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მოხსენებამ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წ. 14 ნოემბრის დადგენილებამ ახალ საფეხურზე აიყვანეს გაზეთის როლი და მნიშვნელობა. საერთოდ ბეჭდვითი სიტყვის, როგორც პროპაგანდის საკავშირო ტრიბუნის, მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის „შესაძლებლობას იძლევა ესა თუ ის ჭეშმარიტება ერთბაშად გახადოს ყველას საკუთრებად, ამიტომ იგი სიტყვიერ პროპაგანდაზე უფრო ძლიერია". ლენინი და სტალინი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენი კადრების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლებას. ლენინ-სტალინის პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის სფეროში მთავარი ადგილი ეკუთვნოდა და ეკუთვნის ბეჭდვით პროპაგანდას. ჩვენში მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას ახალი გაქანება მისცა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლამ. გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა კონსულტაციები, ლექციები, პასუხები შეკითხვებზე, რაც უდიდეს დახმარებას უწევდა და უწევს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემსწავლელთ.

იმისათვის, რომ გაზეთმა შეასრულოს კოლექტიური ორგანიზატორისა და კოლექტიური პროპაგანდისტის როლი, მას მოეთხოვება იყოს უაღრესად პრინციპული, უაღრესად პარტიული, დაუნდობელი ხალხის მტრების მიმართ. ქართველი ხალხის სამაყო შვილი ამხანაგი ლ. ბერია პრესის მუშაკებს ასწავლის: „თვითეული სტატია, თვითეული წერილი, თვითეული სტრიქონი გაზეთში გამსჭვალული უნდა იყოს პარტიის გენერალური ხაზისათვის შეურიგებელი ბრძოლით, თვითეული ფორმულირება პოლიტიკურად ზუსტად უნდა იყოს გამახვილებული, თვითეული ფრაზა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ განახორციელოს სწორი პოლიტიკური ზეგავლენა მკითხველთა ფართო მასებზე. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის პარტიულობის შესახებ, მასებთან მისი კავშირის შესახებ **ლენინ-სტალინის** მითითებათა დავიწყებას სინამდვილეში შედეგად მოსდევს მასებისაგან მოწყვეტა, კონკრეტული სინამდვილის და მასების მოთხოვნილებათა არცოდნა".

დიდი მუშაობა ჩაატარა ჩვენმა ბოლშევიკურმა პრესამ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილებათა და დიდი სტალინის მითითებათა განსახორციელებლად, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ჯერ კიდევ არის ჩვენს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი გაზეთი ჯერ კიდევ ვერ იჩენს ოპერატიულობას, პოლიტიკურ სიმახვილეს. ჩვენი ქვეყნის მიღწევებს, მის სახელოვან ადამიანებს პრესის ფურცლებზე ჯერ კიდევ არასაკმარისად ვუჩვენებთ. გაზეთის ფურცლებზე ჯერ კიდევ არ სჩანს ჩვენი სინამდვილის მრავალფეროვნება. ეს აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი გაზეთის რედაქციები მოწყვეტილი არიან მუშსოფკორებს, მოწყვეტილი არიან სინამდვილეს, არ ეხმაურებიან მშრომელთა წერილებს და გაზეთი ივსება უმეტეს შემთხვევაში რედაქციის მუშაკების მასალებით. ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია პარტიული პროპაგანდის ჩვენების საქმეში, გაბედულად ვერ ვაყენებთ თეორიის საკითხებს, ამ საქმეში მთლიანად არ არის ჩაბმული ჩვენი პროპაგანდისტული კადრების საუკეთესო ნაწილი. ქვეყნის სამხედრო-თავდაცვითი გაძლიერების საკითხები, რომლის შესახებაც ყურადღება გაამახვილა ჩვენი პარტიის XVIII ყრილობამ, ზოგ შემთხვევაში სათანადო გაშუქებას ვერ პოულობს ჩვენი გაზეთების ფურცლებზე და სხვ.

აღვნიშნავთ რა ბეჭდვითი სიტყვის დღეს — 5 მაისს, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით ვამჟღავნოთ ჩვენი ნაკლოვანებანი და კომუნიზმისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო ბასრი და მომქმედი გავხადოთ ჩვენი პრესა. „საჭიროა სერიოზულად გაუმჯობესებულ იქნას ჩვენი გაზეთებისა და ჟურნალების მუშაობა, — ამბობდა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე, — ვინაიდან პრესა წარმოადგენს **მარქს - ენგელს - ლენინ-სტალინის** უკვდავი, ყოვლისშემძლე მოძღვრების პროპაგანდის მძლავრ იარაღს".



ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და ვ. მ. მოლოტოვი გაზ. „პრავდის" რედაქციაში 1917 წ.

მხატვ. პ. ვასილიევის ნახატი.

სამდინარო ტრანსპორტის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სამდინარო ტრანსპორტის განმტკიცებისა და განვითარების დარგში წარმატებით მუშაობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სამდინარო ტრანსპორტის 212 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 9 კაცი, მათ შორის ამხანაგები ლ. ს. ვორონკოვი — „ვოლგოტანკერის" გემ „მანიჩსტროის" მექანიკოსი, მ. ფ. ერშოვი—გემ „პავლინ ვინოგრადოვის" კაპიტანი, ი. გ. ხალეტოვი—ბალაკოვის გემსარემონტო ქარხნის ხარატი, ე. ი. ილიუშინა — გორკის ნავსადგურის ქალთა ბრიგადის ბრიგადირი, კ. ა. კნიაზევა — კამის ნაოსნობის ქარხანა „სტარი ბურლაკის" ელექტროშემდუღებელი, ფ. ც. მაიოროვი— ზემო ვოლგის ნაოსნობის გემ „ნ. ოსტროვსკის" კაპიტანი, ი. პ. ტოკარევი — კამენსკის ნაოსნობის გემ „პიატილეტკის" კაპიტანი, ვ. ი. სუხარინი — „ვოლგოტანკერის" გემ „მიქოიანის" კაპიტანი და ნ. ი. ჩერემისინი — სუხონის ნაოსნობის შრომის სტახანოვური მეთოდების დანერგვის ინსტრუქტორი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 19 კაცი, მათ შორის ამხანაგები ო. ა. ალექსანდროვა — „ვოლგოტანკერის" № 1 ნავთის უბნის გემების გამწმენდი ქალთა ბრიგადის ბრიგადირი, ნ. ა. ბელოვი — ლენინგრადის სამდინარო ნავსადგურის უფროსი, ფ. რ. ვდოვინი — ლენინის სახელობის გემსარემონტო ქარხნის ხარატი, ი. ი. დოროხოვი—დნეპრის ნაოსნობის კაპიტანი — დამრიგებელი, დ. პ. ზვერევი — დასავლეთ-ციმბირის ნაოსნობის ბობროვსკის გემსარემონტო ქარხნის ოსტატი-ინსტრუქტორი, ლ. ი. კუსტოვი — ვოლგის საავზო სამმართველოს გზის მთავარი ინჟინერი, ზ. ა. შაშკოვი— სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარი, ა. ნ. ჩუდინოვი—კამის ნაოსნობის საბუქსირო გემ „ჩეგრესის" ლოცმანი და სხვ.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 47 კაცი. მათ შორის: ლ. ლ. ბალაკშინი — არქტიკული ინსტიტუტის უფროსი ჰიდროლოგი, გ. ლ. ვაზბუცკი — არქტიკული ინსტიტუტის უფროსი გეოლოგი, ვ. ვ. ვასილიევი—ტანკერ „იუკაგირის" კაპიტანი, ვ. პ. ძიუბა —საკ. კ. პ. (ბ) ტაიმირის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, დ. ა. დრაგაიცევი — არქტიკული ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ნ. ს. ჟელეზნიაკოვი — საკ. კ. პ. (ბ) მურმანსკის საოლქო კომიტეტის მდივანი, ვ. ლ. ჟორორნიცკი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის იაკუტმშენის უფროსი, ა. ე. კამინოვი — პოლარული ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე, გ. გ. კოლომბაევი — ჩელუსკინის კონცხის პოლარული სადგურის მექანიკოსი, პ. ხ. კულაკოვი — საკ. კ. პ. (ბ) კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის მდივანი, კ. ე. კუჩერინი — ყინულმჭრელ „ლენინის" კაპიტანი, ლ. ვ. ლისტოვი—ჩელუსკინის კონცხის პოლარული სადგურის დისპეტჩერი, ი. პ. მაზურუკი — პოლარული ავიაციის სამმართველოს უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი, წინათ ლენინის ორდენით და „წითელი ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოებული, ი. მ. ნიკიტინი — პოლარული სადგურების სამმართველოს უფროსის მოადგილე, გ. პ. ოგოროდნიკოვი — საკ. კ. პ. (ბ) არხანგელსკის საოლქო კომიტეტის მდივანი, ა. ტ. პავლოვსკი — ყინულმჭრელ გემ „სიბირიაკოვის" 1-ლი კლასის მატროსი, ვ. ნ. პანფილოვი — შინსახკომის არხანგელსკის სამმართველოს უფროსი, ნ. მ. პეგოვი — საკ. კ. პ. (ბ) პრიმორიეს საოლქო კომიტეტის მდივანი, ვ. ა. როძიევსკი — ჰიდროგრაფიული გემის „ტოროსის" კაპიტანი, ა. პ. სიდოროვი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს სამდინარო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი მ. ი. სტაროსტინი — საკ. კ. პ. (ბ) მურმანსკის საოლქო კომიტეტის მდივანი, ი. ლ. სტეპანენკო — საკ. კ. პ. (ბ) იაკუტიის საოლქო კომიტეტის მდივანი, ა. ნ. ტიაგუნინი — კაპიტანი, მოსკოვის ავიაჯგუფის პილოტი, ტეპლიანტო— მშრომელთა დეპუტატების ჩუკოტის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ს. ვ. შმანევი—განმარტოების კუნძულის პოლარული სადგურის უფროსი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 53 კაცი. მათ შორის ამხანაგი ვ. გ. ამინინი—ზედავოლგის სანაოსნო სამმართველოს მთავარი ინჟინერი და უფროსის მოადგილე, ა. ფ. ბლიდმანი—სამდინარო ფლოტის სახკომისარიატის ოპერატიული ჯგუფის კონსულტანტი, წინათ დაჯილდოებული შრომის წითელი დროშის ორდენით, ნ. მ. ბუშკოვსკი — ჩრდილოეთის სანაოსნოს გემ „როზა ლუქსემბურგის" მექანიკოსი, მ. ი. ვოლსკი — პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, წყლის ტრანსპორტის ინჟინერთა გორკის ინსტიტუტის მასალათა სიმტკიცის კათედრის გამგე, ა. ს. დემინი — ინჟინერი გამომგონებელი, ზედა-ვოლგის სანაოსნოს მუშაკი, ა. ფ. პეტრიჩენკო—ვოლგის გზის სამმართველოს ასტრახანის ტექნიკური უბნის შუა-კოპანის ჩქერის მებაკენე ქალი, პ. ი. პრონინი — გაზეთ „ვოდნი ტრანსპორტის" რედაქტორი, ი. ა. პოლუშკინი — მოსკოვ-ვოლგის არხის გემის „პროფესორ მეჩნიკოვის" კაპიტანი, ი. ლ. ფედოროვი—ქვედა-ვოლგის სანაოსნოს სტალინგრადის ნავმისადგომის მტვირთავი მუშა, ი. ნ. ჩევაკი—დნეპროპეტროვსკის ნავსადგურის პარტბიუროს მდივანი, ს. ფ. ჩესნოკოვი—ვოლგატანკერის ნავთსაზიდის „სტეპან რაზინის" კაპიტანი და სხვ.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის" დაჯილდოებულია 56 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" 75 კაცი. (საკდესი).

ამხ. ი. დ. პაპანინის მისალმება

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებისადმი

მზიური საქართველოს საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე რაზმს — ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებს ჩემი მგზნებარე სალამი მათი დღესასწაულის დღეს.

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ი. პაპანინი.

ამხ. ვ. ნანეიშვილის მისალმება

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებისადმი

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღეს — ჩემი გულწრფელი სალამი ორდენოსანი საქართველოს ბოლშევიკური პრესის მუშაკებს, მუშსოფკორთა მრავალრიცხოვან არმიას და მკითხველებს.

ვუსურვებ „კალმის სნაიპერებს" მომავალშიაც მუდამ ზუსტად ურტყან ნიშანში კომუნიზმის დიადი მშენებლობის განსამტკიცებლად, ლენინ-სტალინის პარტიის სასახელოდ, ყველა ჯურის მტრების გასანადგურებლად.

საბჭოთა კავშირის გმირი
პოლკოვნიკი ვ. ნანეიშვილი

თბილისი, „კომუნისტის" რედაქციას

მხურვალე, საბრძოლო წითელარმიული სალამი ორდენოსანი საქართველოს ბოლშევიკური პრესის მუშაკებს, მუშსოფკორებს და მკითხველებს.

ვუსურვებთ საქართველოს ბოლშევიკურ პრესას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა სტალინმა, — შემდეგშიაც მუდამ მაღლა ეჭიროს და მტკიცედ ატაროს ლენინ-სტალინის პარტიის უძლეველი დროშა კომუნიზმის მშენებლობის დიად გზაზე.

საბჭოთა კავშირის გმირები:
პოლიტხელის მოადგილე ილია ხმალაძე
უმცროსი მეთაური ალექსანდრე სულაბერიძე

კომუნიზმის პრესას

გაშლილხარ, როგორც მინდორზე
თეთრი ხალების საფენი,
როგორც მოწმენდილ ღამეში
ვარსკვლავნი მოკიაფენი,
როგორც მაისის მდელოზე
ყვავილი გამონაყარი
და როგორც შემოდგომაზე
ფოთოლი ჩამონაქარი.

მზით დაფენილი ველი ხარ,
მელნის ცვარებით ნაწვიმი,
ღრმა სიბრძნის ოკეანე ხარ,
დაჭრიხარ, როგორც არწივი.
მტრის თავზე მეხის ვარდნა ხარ,
მოძმეთ კი აერთიანებ,
ხალხის გული და ენა ხარ,
ყრუ-მუნჯსაც აპირხმიანებ.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის
უკვდავ აზრების მფლობელო,
ჩვენო წიგნო და გაზეთო,
სინათლევ ჩაუქრობელო.
მშრომელთა გულის მესიტყვევ,
სიცოცხლის დამატკბობელო,
გარდასულ დროთა აღმწერო,
მომავლის წინათმგრძნობელო!

ვერ გწვავენ, ვეღარ გდევნიან
მეფის შავბნელი ძალები,
ჩამწყვდეულს ბნელ სარდაფებში
გიცავდნენ პროლეტარები.
ამოხველ ჯურღმულებიდან
მზეს გაუსწორე თვალები,
ჩამოურიგდი მშრომელებს,
შეაღე ქოხის კარები.

ვის არ აუხელ თვალებსა,
ვისლა არ ესაუბრები!
ცის ქვეშეთს, კიდით-კიდემდე
შემოგივლია უბნები...
სუსტს და უღონოს ამხნევებ,
ფოლადს პირს მოუფხიანებ,
შრომის და ბრძოლის ფერხულში
მთებს შესძრავ, შეაზრიალებ.

სარკე ხარ ჩვენი ცხოვრების,
სიტყვა ხარ მაღალფრთოვანი.
მოწყურებითა გკითხულობს
ახალგაზრდა და მხცოვანი,
ყველა ბრძენი და სწავლული,
გმირი და სახელოვანი.
აღარ გემჩნევა ლაქები
ნაცხები მრავალწლოვანი.

საბჭოთა ხალხის დიდება
საზღვრებს გადაღმაც გაისმის!
გული ღელდება, გაშლილან
ვარდები ხუთი მაისის,
მწერლები—სიტყვის ოსტატნი
მრავალნაირი ჩანგებით
უმღერენ დიად სამშობლოს
შრომის და ბრძოლის ჰანგებით!

ჩვენო წიგნო და გაზეთო,
ოქრო-ნაყარო ელვარევ,
ჩვენო ფიქრნო და აზრებო,
მუდამ მომქმედო, მღელვარევ,
ასცდი მსოფლიოს მწვერვალებს,
კულტურავ მაღალ ხმიანო,
რომ საამური ცხოვრება
უფრორე მოამზიანო!

ალ. კუდიანაშვილი
სოფ. ვეძათ-ხევა
თიანეთის რაიონი.

5 მაისს, საღამოს 7 საათზე, შინსახკომის კლუბში (ბესიკის ქ. № 4) საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტი იწვევს

პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივის საერთო-საქალაქო კრებას ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებთან და მუშკორთა აქტივთან ერთად, მიძღვნილს ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი.

კრებაზე მოსმენილი და განხილული იქნება გაზ. „კომუნისტის" რედაქტორის ამხ. ვ. ხატიაშვილის და „ზარია ვოსტოკას" რედაქტორის ამხ. ვ. გრიგორიანის მოხსენებები.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით, რომლებსაც ანაწილებენ პარტიის რაიკომები.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი.

წიგნი „გაზეთ „ზარია ვოსტოკას" გამოცდილება"

მოსკოვი, 4 მაისი. სახელმწიფო პოლიტიკური გამომცემლობა ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის უშვებს წიგნს **„გაზეთ „ზარია ვოსტოკას" გამოცდილება"** (საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ორგანო).

წიგნს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა ამხანაგ **ლავრენტი ბერიასი,** რომლის ხელმძღვანელობითაც ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ლენინურ - სტალინური ტრადიციების საფუძველზე აღიზარდნენ საქართველოს და ამიერკავკასიის გაზეთის მუშაკთა კადრები.

„ჩვენი ჟურნალ-გაზეთების მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარება, — სწერს ამხანაგი **ლავრენტი ბერია,** — ხელს უწყობს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ აღმავლობას.

... წიგნს „გაზეთ „ზარია ვოსტოკას" გამოცდილების" წაკითხვა დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის თვითეულ მუშაკს, თვითეულ პროპაგანდისტსა და აგიტატორს".

წიგნის ძირითად თავებში ლაპარაკია გაზეთის მიერ განვლილი გზის შესახებ, პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების, პარტიული ცხოვრების საკითხთა გაშუქების, მასების ინტერნაციონალური აღზრდის, სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ და სხვ.

წიგნი შეიცავს ექვს ნაბეჭდ ფურცელს და კარგად არის დასურათებული.

საკდესი უარჰყოფს

1. უცხოეთის ზოგიერთ გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა, თითქოს საბჭოთა კავშირმა წინადადება მისცა ფინეთს გაუცვალოს საბჭოთა კავშირს ვიბორგი (ვიიპური) ალანდის კუნძულებზე, ხოლო რეიტერის სააგენტომ 1 მაისს რადიოთი გადასცა თავისი პარიზელი კორესპონდენტის ცნობა იმის შესახებ, რომ ვითომდა „სსრ კავშირმა წინადადებით მიჰმართა ფინეთს, რომ ჰანკოსა და ვიბორგს დაუბრუნებს ფინეთს ალანდის კუნძულებისა და პეტსამოს სანაცვლოდ". საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ყველა ეს ცნობა სავსებით უსაფუძვლოა და მთლიანად მოგონილია.

2. ჰოლანდიის გაზეთი „მაასბოდე", აგრეთვე უცხოეთის ზოგიერთი სხვა გაზეთი იუწყება, რომ თითქოს „სსრ კავშირმა გასულ კვირას გერმანიის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიც საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ შვეციის წინააღმდეგ გერმანიის მოქმედებას იგი არამეგობრულ აქტად ჩასთვლიდა და რომ, ამას გარდა, სსრ კავშირმა განაცხადა, რომ იგი ვერ დაუშვებს გერმანიის მიერ ალანდის კუნძულების ოკუპაციას". საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება. ნამდვილად კი, გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ თავდაუსხმელობის ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად, სადაც ლაპარაკია ურთიერთ ინფორმაციასა და კონსულტაციაზე, ორი კვირის წინათ მოსკოვში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის წარმომადგენელთა შორის მოხდა ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა შვეციის ნეიტრალიტეტის საკითხზე, რომლის დროსაც აღნიშნული იყო, რომ ორივე სახელმწიფოს დაინტერესებულად მიაჩნია თავისთავი იმით, რომ შვეციამ ნეიტრალიტეტი შეინარჩუნოს.

გრიბოედოვის თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი შეხვედრა ა.-კ. სამხედრო ოლქის მფრინავებთან

გუშინ, 4 მაისს, საღამოს შესდგა ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამის თეატრის მუშაკთა კოლექტივის შეხვედრა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის მფრინავებთან. შეხვედრას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის გმირები — პოლკოვნიკი ვლადიმერ ნანეიშვილი, მაიორი ვიქტორ ზელენცოვი, კაპიტანი პ. პეტროვი, ბატალიონის კომისარი იაკოვენკო და უმცროსი ლეიტენანტი კ. სიმონიანი.

შეხვედრის აღსანიშნავად თეატრმა მფრინავებს უჩვენა ბ. ვოიტეხოვისა და ლ. ლენჩის პიესა „პაველ გრეკოვი".

პიესის მესამე მოქმედების შემდეგ ანტრაქტში სცენაზე გამოვიდა თეატრის მთელი კოლექტივი, რომლის სახელით დამსწრე მფრინავებს მიესალმა მსახიობი ვ. ბრაგინი.

ბოლოს, შეხვედრაზე სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის გმირმა, ბატალიონის კომისარმა ამხანაგმა იაკოვენკომ.

თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი შეხვედრა მფრინავებთან გადაიქცა საბჭოთა ხალხისა და სახელოვანი წითელი არმიის ერთიანობის ბრწყინვალე დემონსტრაციად.

რკინიგზის ახალი ხაზი კანდალაკშა—კუოლაიარვი

კანდალაკშა, 1 მაისი (საკდესი). 30 აპრილს დამთავრდა კანდალაკშა—კუოლაიარვის რკინიგზის მშენებლობა; გზის სიგრძე 160 კილომეტრს უდრის. ამიერიდან კუოლაიარვი შეერთებულია მურმანსკის რკინიგზასთან.

საგაზაფხულო კულტურების თესვა

მიწსახკომის ცნობებით 1 მაისისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურები დათესილი იყო 333.012 ჰექტარზე. გეგმის 64,9 პროცენტი, გასულ წელს კი ამავე რიცხვისათვის გეგმის შესრულება 75,4 პროცენტს უდრიდა.

საგაზაფხულო კულტურების თესვა დაამთავრეს ქარელის, წითელწყაროს და ქვემოსვანეთის რაიონებმა. თესვის გეგმა ყველაზე ნაკლები პროცენტით აქვთ შესრულებული ბოგდანოვკის (34,5 პროც.), წალკის (38,9 პროც.), ახალქალაქის (43 პროც.), ბაშკიჩეთის (48,3 პროც.) და თიანეთის (48,1 პროც.) რაიონებს.

თავთავიანი მარცვლეული კულტურები საქართველოს კოლმეურნეობებში დათესილია 79,112 ჰექტარზე, გეგმის 74,5 პროცენტი. გეგმა შეუსრულებელი აქვს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, გორის, ბორჯომის, წალკის, დუშეთის, საგარეჯოს, ბაშკიჩეთის, თიანეთის, ამბროლაურის, ონისა და სახერის რაიონებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პრავდას"

დიდი ლენინის შექმნილო,
სახელგანთქმულო „პრავდაო"!
ლენინმა გშობა, გაგზარდა,
პატრონიც ისა გყავდაო;
ჩაგბერა სული უკვდავი
თავის გემოზე გზარდაო;
სიმტყუნესა და სიყალბეს
შენგნით ახადა ფარდაო;
ქარტეხილ მთებში გატარა
სად გზა არ იყო ნავალი,
ტყვიის წვიმაში გამოხველ
ტანჯვები შეგხვდა მრავალი.
რაც დაბრკოლება შამოგხვდა,
სუყველა გადალახევი,
ლენინის დროშით მოდიხარ
ევროპას გადასძახევი.
წინ გიძღვის დიდი ბელადი —
კაცი სტალინად ხმობილი
ლენინის თანამებრძოლი
მისვანვე გამოწრთობილი.
ყურს გიგდებს, გივლის,
გპატრონობს,
გიხუტებს, გიკრავს უბეში,
რადგანაც იცის შენა ხარ
მშრომელთა მხსნელი ნუგეში.
სიბნელეს მედგრად ებრძოდი
და სიყალბესა თელავდი;
სადაც გვხვდებოდა მტრის გუნდი,
ბალახივითა სცელავდი;
სიმართლის დროშა გეჭირა
ჩირაღდანივით ელავდი;
მთასა და კლდეებს ანგრევდი,
დაუნგრევ ყამირს სერავდი;
დასძლიე ყველა სიძნელე,
გამარჯვებული გახველი,
ცის კიდურს მიაღწიევი,
ყაზბეგის მთაზე ახველი!
და მოეფინა ქვეყანას
შენი მებრძოლი სახელი.
პარტიის მძლავრი დროშა ხარ,
სიმართლის გამომსახველი.

ი. მირიანაშვილი

სოფ. ანაგა, სიღნაღის რაიონი.

ბეჭდვითი სიტყვა სსრ კავშირში

სრულიად-საკავშირო წიგნის პალატამ გამოუშვა ახალი გამოცემა ბროშურისა „ციფრები სსრ კავშირის ბეჭდვითი სიტყვის შესახებ". ბროშურაში შეგროვებულია საინტერესო ცნობები ჩვენს ქვეყანაში გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების გამოშვების შესახებ და მასალები, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ზრდას.

იმპერიალისტური ომის წინახანში მეფის რუსეთში გამოდიოდა 859 გაზეთი, რომელთა ერთჯერადი ტირაჟი 2,7 მილიონ ცალს უდრიდა. შარშან სსრ კავშირში გამოდიოდა 9.000-მდე გაზეთი 38 მილიონი ცალი ტირაჟით. 1939 წელს გაზეთების საერთო რიცხვი 1913 წელთან შედარებით 10-ჯერ გადიდდა, მათი ერთჯერადი ტირაჟი კი 14-ჯერ.

სსრ კავშირში გაზეთები გამოდის 70 ენაზე. ბეჭდვითი სიტყვა შეიჭრა საბჭოთა კავშირის უაღრესად დაშორებულ კუთხეებში. ჩვენს ქვეყანაში არ არის თითქმის არც ერთი რაიონი, სადაც ადგილობრივი გაზეთი არ გამოდიოდეს. 4.500-ზე მეტი დაბეჭდილი გაზეთი გამოდის ფაბრიკა-ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორის სადგურებში. ჩვენს ქვეყანაში 150 გაზეთი გამოდის ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის. გარდა დაბეჭდილი გაზეთებისა საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში, წითელი არმიის ნაწილებში გამოდის ასიათასობით კედლის გაზეთი. უკრაინის დასავლეთ ოლქებში, არასრული ცნობებით, 1940 წლის დამდეგისათვის გამოდიოდა 53 გაზეთი, ბელორუსიის დასავლეთ ოლქებში კი — 32 გაზეთი.

ასობით საუკეთესო რაიონული და ძირეული გაზეთი შეტანილ იქნა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საპატიო წიგნში.

საბჭოთა კავშირში გამოდის 1592 ჟურნალი. მათი ტირაჟი 253 მილიონ ცალზე მეტია.

სსრ კავშირის ათობით ხალხმა თავისი დამწერლობა მიიღო მხოლოდ დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. პირველად დაიწყეს წიგნის გამოცემა ადიღეურ, ნანაურ, ევენკურ, ჩუკჩურსა და მრავალ სხვა ენაზე. შარშან სსრ კავშირში გამოვიდა 700 მილიონი ცალი წიგნი, ე. ი. რვაჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა ტირაჟმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში 441,6 მილიონ ცალს მიაღწია. მარქს-ენგელსის შრომები გამოცემულია 30,2 მილიონ ცალად, ვ. ი. ლენინისა — 127,7 მილიონ ცალად, ი. ბ. სტალინისა — 274,4 მილიონ ცალად. კრებულები ლენინ-სტალინი — 9,3 მილიონ ცალად, ი. ბ. სტალინის წიგნი „ლენინიზმის საკითხები" შარშან მე-11-ჯერ გამოიცა ორ მილიონ ცალად. 61 ენაზე ითარგმნა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მასალები. მათი ტირაჟი 115 მილიონ ცალს აღემატება.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" 1938-1939 წლების განმავლობაში გამოცემულია სსრ კავშირის ხალხთა 48 ენაზე და მისი ტირაჟი 16 მილიონ ცალს აღემატება. იგი გადათარგმნილია მრავალ უცხო ენაზე. 15 მილიონზე მეტ ცალად გამოვიდა წიგნები და ბროშურები, რომლებშიც მოთავსებულია ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვის სიტყვები და მოხსენებები საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

არცერთ ქვეყანაში სკოლასა და ბავშვებს იმდენი ყურადღება არ ექცევა, როგორც საბჭოთა კავშირში. ამ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში გამოცემულია სსრ კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე 735 მილიონი ცალი დაწყებითი და საშუალო სკოლის სახელმძღვანელო.

მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებნი ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი გახდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში პუშკინის ნაწარმოებნი გამოცემულია დაახლოებით 29 მილიონ ცალად 69 ენაზე, გორკისა — 39 მილიონზე მეტ ცალად 64 ენაზე, ლ. ნ. ტოლსტოისა — 20 მილიონზე მეტ ცალად 57 ენაზე, ჩეხოვისა—თითქმის 15 მილიონ ცალად 54 ენაზე. მაიაკოვსკის ნაწარმოებნი ითარგმნა 22 ენაზე და გამოცემულია 6,4 მილიონი ცალის რაოდენობით.

მხოლოდ დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო უცხოეთის მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსთა—ბალზაკის, ჰაინეს, გოეთეს, დიკენსის, სერვანტესის, შექსპირის და სხვების ნაწარმოებთა მასობრივი ტირაჟით და მრავალ ენაზე გამოცემა.

მილიონობით ცალად ვრცელდება საბჭოთა მწერლებისა და პოეტების საუკეთესო ნაწარმოებები. შოლოხოვის „წყნარი დონი" უკვე გამოიცა 81-ჯერ 4.347 ათას ცალად, ტოლსტოის—„პეტრე I"—46-ჯერ 1.284 ათას ცალად, ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი"—119-ჯერ 2321 ათას ცალად.

ბეჭდვითი სიტყვის პავილიონის დარბაზებში

წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე პრესის პავილიონი თვალსაჩინოდ ცხადჰყოფს სსრ კავშირის ხალხთა ბოლშევიკური პრესისა და ლიტერატურის უმაგალითო აყვავებას.

წელს გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ბოლშევიკური პრესის ყველა რაზმი — რგოლის კედლის გაზეთიდან მოკიდებული სამხარეო და რესპუბლიკურ გაზეთამდე. უკვე 300-ზე მეტი განცხადებაა მიღებული გამოფენის პრესის პავილიონში მონაწილეობის მიღების მსურველთაგან. შარშან მასში 576 მონაწილე იყო.

პავილიონის მთავარი დარბაზი მიეძღვნება მთელი ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის და საუკეთესო რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო გაზეთების მიღწევათა ჩვენებას. ექვსი დიდი სარკიანი ვიტრინა მოგვითხრობს მოკავშირე რესპუბლიკებში ბეჭდვითი სიტყვის განვითარების შესახებ. მთავარ დარბაზში ნაჩვენები იქნება კოლმეურნეობათა კედლის გაზეთების ყოველდღიურ გამოშვებაზე გადასვლის ინიციატორის გაზეთ „სოვეტსკაია უკრაინას" მიღწევები, ექსპონატები სტალინგრადის კომკავშირული საოლქო გაზეთის „მოლოდოი ლენინეცისა", რომელიც მარჯვედ გამოეხმაურა ასფუთოვანთა მოძრაობას, ეწეოდა მის პროპაგანდას და სხვ. სტალინის სახელობის ფერგანის არხის დიდი ფოტოპანო დაამშვენებს ვიტრინას — საბჭოთა უზბეკეთის გაზეთების მონტაჟს, რომლებიც ბოლშევიკურად ჩაუდგნენ სათავეში კოლმეურნეთა ინიციატივას არხის მშენებლობაზე. დიდ ინტერესს წარმოადგენენ თბილისის გაზეთების „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" მრავალფეროვანი ნომრები, რომლებიც მიძღვნილია ამხანაგ სტალინის დაბადების 60 წლისთავისადმი.

ახალი განყოფილების — „ლენინი, სტალინი და ბოლშევიკური პრესის" მრავალი ექსპონატი გაგვაცნობს ბოლშევიკური პრესის ძირითად ეტაპებს მისი ჩასახვის მომენტიდან ჩვენს დრომდე, ისინი თვალსაჩინოდ ცხადჰყოფენ ლენინისა და სტალინის უდიდეს როლს პრესის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საქმეში.

პავილიონის დარბაზებს წელს დაამშვენებენ საუკეთესო ბოლშევიკი - ჟურნალისტების, გაზეთების, ჟურნალებისა და გამომცემლობათა მუშაკების პორტრეტები და ფოტოსურათები.

რამდენიმე სტენდი მიძღვნილი იქნება საბჭოთა კავშირის წიგნის პროდუქციის ჩვენებას — თავდაცვითი, სოციალ-ეკონომიური, მხატვრული ლიტერატურის, სასოფლო მეურნეობის საკითხებს. ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების 22 წლის განმავლობაში სასოფლო მეურნეობის ლიტერატურა გამოცემულია 21-ჯერ მეტი, ვიდრე რევოლუციამდელი რუსეთის 200 წლის მანძილზე. სტენდებზე გამოფენილი იქნება კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკების მიერ დაწერილი წიგნები. სპეციალური სტენდები იქნება გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამომცემლობათა მიღწევების საჩვენებლად. ერთერთ დარბაზში შარშანდელი წლის მსგავსად ნაჩვენები იქნება პოლიგრაფიული წარმოების ტექნიკა.

პავილიონის მთელი დარბაზი მიეძღვნება საოლქო და სასოფლო ძირეულ პრესას. აქ წარმოდგენილი იქნება ჩვენი ქვეყნის 12 საუკეთესო რაიონული გაზეთის გამოცდილება სტალინური 7-8 მილიარდი ფუთი მარცვლეულისათვის ბრძოლაში.

ცალკე სტენდზე გამოფენილი იქნება საბჭოთა კავშირის ერთერთი პირველი სარგოლო კედლის გაზეთი „ეფრემოვეცი". იგი გამოდის კოლმეურნეობა „მეორე ხუთწლედის გზის" (კურაგინოს რაიონი, კრასნოიარსკის მხარე) პირველი ბრიგადის პირველ რგოლში. ჩვენი ქვეყნის უდიდეს გაზეთებთან ერთად ამ პატარა კედლის გაზეთმა დიდი როლი შეასრულა კოლმეურნეთა შორის სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის გაშლის საქმეში. (საკდესი).

საბრძოლო სახელისა და გმირული შრომის დროშით

ლენინგრადში გამართულ საჰაერო პარადში მონაწილეობა მიიღო 400 თვითმფრინავმა

ლენინგრადი, 1 მაისი (საკდესი). ურიცკის უზარმაზარ მოედანზე ჯარის კოლონების უძრავი კვადრატები სულგანაბულნი იდგნენ საზეიმო მოლოდინით გამსჭვალულნი. არაჩვეულებრივი დიდების შარავანდედით მოსილნი ხვდებიან ისინი პირველ მაისს. წითელმა პოლკებმა გმირულად შეასრულეს მათ წინაშე დასმული ამოცანები — მათ უზრუნველჰყვეს საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ-დასავლეთის საზღვრების უშიშროება, ლენინის დიდი ქალაქის უშიშროება. გამარჯვება მიღწეული იქნა იმ საბჭოთა პატრიოტების ერთიანი არმიის რკინისებური ნებისყოფით, რომლებიც დღედაღამ საბრძოლო ვახტზე იდგნენ ფრონტზეც და ზურგშიც.

ამას გვეუბნება ტრიბუნიდან ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, საბჭოთა კავშირის გმირი, მე-2 რანგის არმიის სარდალი, ამხანაგი მერეცკოვი. იგი მოგვაგონებს, ახლო წარსულის დღეებს, როდესაც ოლქის პოლკებს იერიში მიჰქონდათ მანერჰაიმის „მიუვალ" ხაზზე და საბოლოოდ გაანადგურეს კიდევაც იგი.

ამხანაგი მერეცკოვი თავისი სიტყვის დასასრულს დღეგრძელობას უსურვებს წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, ლენინის ქალაქის მშრომელთ, ბოლშევიკების სახელოვან პარტიას და დიდ **სტალინს**.

მძლავრი „ვაშა" გრიალებს მოედანზე. ნევაზე გემები კვამლში ეხვევიან, ელავს მისასალმებელი სროლის ალი, რომელიც საზეიმოდ გრიალებს ქალაქში. საბრძოლო კოლონები ამოძრავდნენ.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგი **ჟდანოვი, კუზნეცოვი, შტიკოვი, ვოროტოვი, კაპუსტინი** და სხვანი.

ტრიბუნის ახლოს პირველნი ჩაივლიან სამხედრო აკადემიებისა და სასწავლებელთა მსმენელები და მასწავლებლები.

მფრინავებს სცვლიან მეზღვაურები, რომელთაც საპატიო წილად ჰხვდათ საბჭოების ქვეყნის საბრძოლო გემების ტარება. მეზღვაურები, რომლებიც ბალტიკის სივრცეებზე გავიდნენ და მაგარი კლიტით დაჰკეტეს ლენინგრადის მისასვლელები. ტრიბუნებზე ოვაციებით ხვდებიან მოთხილამურეთა კოლონებს, რომლებიც გამოწყობილი არიან თეთრი სვიტრებითა და კეპებით. ისინი მოაბიჯებენ მსუბუქად, სპორტსმენულად, მოქნილები, უშიშარნი, რომელთაც სასწაულებრივი მამაცობა გამოიჩინეს კარელიის ყელზე მომხდარ ბრძოლებში.

ჩაიარა მოტორიზებულმა წითელდროშოვანმა დივიზიამ. მიდის არტილერია.

მოედანზე შემოდიან ტანკები.

400 თვითმფრინავმა მიიღო მონაწილეობა საჰაერო პარადში.

მცირე შესვენება და მოედანზე ტყესავით გაიშლება წითელი დროშები. აი მოდიან სამგზის ორდენოსანი კიროვის სახელობის ქარხნის კოლონები, ორდენებით დაჯილდოებული იჟორის ქარხნის, სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთმშენებელი ქარხნის, № 210 და № 174 ქარხნების. ეს ნამდვილი გმირები არიან ზურგისა.

როდესაც იქ, ფრონტზე, იერიში მიჰქონდათ, ქალაქი დღედაღამ მუშაობდა. ლენინგრადელი მუშები დაზგებს არა შორდებოდნენ, ერთი საათითაც კი არა სტოვებდნენ სამუშაოს, და რითაც კი შეეძლოთ, ყველაფრით ეხმარებოდნენ ფრონტს. მოსწავლე ქალ-ვაჟნიც კი საჩუქრებს აგროვებდნენ მებრძოლთათვის.

ლენინის ქალაქის 1.400 ათასი მშრომელი იღებდა მონაწილეობას საპირველმაისო დღესასწაულის დემონსტრაციაში.

საბჭოთა ვიბორგში

საჰაერო პარადში მონაწილეობდა 100 თვითმფრინავი

ვიბორგი, 1 მაისი (საკდესი). ახალგაზრდა საბჭოთა ვიბორგი პირველად შეეგება თავისუფლად და მხიარულად საერთაშორისო პროლეტარულ დღესასწაულს — პირველ მაისს.

პარადს იწყებენ მსროლელთა ნაწილები, რომლებმაც სახელი გაითქვეს ფინელ თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში. ვიბორგის მოედანზე მიდიან ადამიანები, რომელთა პორტრეტები დღეს ამშვენებენ მოსკოვისა და ლენინგრადის, ლვოვისა და ვლადივოსტოკის, მურმანსკისა და თბილისის სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებს.

ქვეითელებს სცვლიან არტილერისტები, მესანგრენი, ტანკისტები, მენავტიკენი, სამხედრო-საზღვაო სასწავლებელთა კურსანტები.

პარადის მონაწილეებს ტრიბუნებიდან მხურვალედ მიესალმებიან კარელია-ფინეთის რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, ქალაქის დროებითი სამმართველოს წევრები.

მარშის მწყობრ რიტმში იჭრება ავიამოტორების გუგუნი. სამხრეთიდან გამოჩნდნენ თვითმფრინავთა „ცხრიანები". საჰაერო პარადში მონაწილეობა მიიღო 100 თვითმფრინავმა. დაიწყო საპირველმაისო დემონსტრაცია. ლამაზად არის მორთული რკინიგზელთა კოლონა, რომელიც იწყებს სვლას.

გაისმის მისასალმებელი შეძახილები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პატივსაცემად, დიდი სტალინის პატივსაცემად, ახალი კარელია-ფინეთის მოკავშირე რესპუბლიკის პატივსაცემად. ხმამაღალი სასიხარულო „ვაშა" გრიალებს ამის საპასუხოდ.

პირველი მაისი საბჭოთა ლვოვში

საჰაერო პარადში მონაწილეობდა 150 თვითმფრინავი

ლვოვი, 1 მაისი (საკდესი). დილის სრულ 11 საათზე დაიწყო ლვოვის გარნიზონის ჯარის პარადი. ქალაქის ცენტრალური მაგისტრალით ტრიბუნას ჩაუარეს წითელარმიელთა ნაწილებმა, ცაში 150 საბრძოლო თვითმფრინავია.

სახალხო მსვლელობაში 300 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. ეს იყო ბოლშევიკების პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის, მხურვალე მადლობის დემონსტრაცია.

სტალინის რაიონის მშრომელთა კოლონებმა თავიანთ გაფორმებაში ასახეს სტალინური კონსტიტუცია და ხალხთა დიადი მეგობრობა, წითელი არმიისა და რკინიგზის რაიონების კოლონებმა — ჩვენი ქვეყნის საწარმოო და თავდაცვითი ძლიერება, შევჩენკოს რაიონის კოლონებმა—საბჭოთა ქალის თანასწორუფლებიანობა.

ნაშუალამევამდე გრძელდებოდა დიდი სახალხო სეირნობა. სტადიონებზე სასპორტო შეჯიბრება გაიმართა.

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა (1939 წ.). **სურათზე** (მარცხნიდან): მბეჭდავი მუშის ობელისკი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" წიგნით ხელში და ბეჭდვითი სიტყვის პავილიონი.

ფოტო ნ. კუზეევისა (საკდესის ფოტოკლიშე).

ფრონტის გაზეთები

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვით პარტია აღაგზნებდა მასებს სამოქალაქო ომის წლებში თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა ურდოების წინააღმდეგ, აღაგზნებდა მასებს სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდში. უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიკურმა ბეჭდვითმა სიტყვამ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისათვის ბრძოლებში.

დაიწყო ბრძოლები თეთრპოლონელებთან და შემდეგ თეთრფინელებთან, და აქაც ბოლშევიკურმა ბეჭდვითმა სიტყვამ უდიდესი როლი შეასრულა მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე, უდიდესი სამსახური გაუწია წითელ არმიას. 17 სექტემბერს, როდესაც წითელი არმიის ნაწილები გადავიდნენ ყოფილი პოლონეთის სახელმწიფოს საზღვრებზე, ამ დროს სამხედრო გაზეთ „ზნამია სოვეტოვის" რედაქციასა და სტამბაში გაცხარებული მუშაობა მიმდინარეობდა. და იმ მომენტში, როდესაც წითელი არმია ბრძოლებით მიიწევდა წინ დასავლეთ უკრაინელებისა და დასავლეთ ბელორუსების დასახმარებლად, მებრძოლებმა მიიღეს ახლად დაბეჭდილი გაზეთი. გაზეთი მოუწოდებდა წითელ მებრძოლებს ბრძოლისაკენ, საგმირო საქმეებისაკენ სტალინისათვის, პარტიისათვის, სამშობლოსათვის. გაზეთი მოუწოდებდა საბჭოთა პატრიოტებს ღირსეულად შეესრულებინათ თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობა.

ყოველდღე გაზეთი უამბობდა მკითხველებს ფრონტზე მდგომარეობის შესახებ, აჩვენებდა გმირებს, აღაგზნებდა მებრძოლებს ახალ-ახალი საგმირო საქმეებისათვის.

„ზნამია სოვეტოვის" რედაქცია და სტამბა დაკვრითი წესით იყო მოწყობილი, მეტად მოკლე დროში. რედაქციას ჰქონდა ორი მოძრავი ელექტროსადგური. ავტომანქანებზე დადგმული იყო ბრტყელი საბეჭდი მანქანა. იყო პატარა საროტაციო მანქანაც, დადგმული 5-ტონიან ავტომანქანაზე. სასტერეოტიპო მოწყობილობა ძალიან უწყობდა ხელს გაზეთის სწრაფად ბეჭდვას.

სამხედრო მოქმედების პერიოდში დაიბადა მეორე ახალი გაზეთი—„ზვიაზდა". იგი იბეჭდებოდა ყოველდღე ბელორუსულ ენაზე იმავე მოძრავ, საველე სტამბაში.

ხელით ასოთამწყობებს მუშაობა რომ გაადვილებოდათ, დიდი სტატიები იწყობოდა მინსკში ლინოტიპებზე და ანაწყობი მასალა მოჰქონდათ საველე სტამბაში. ასევე მოჰქონდათ მინსკიდან კლიშე. ეს საქმე გაძნელდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ჩვენი ჯარი ღრმად შეიჭრა პოლონეთში. მაშინ კლიშეები უკვე ვილნოში მზადდებოდა.

ნომრები „პრავდის" მოწინავე წერილებით გაორკეცებული ტირაჟით იბეჭდებოდა.

რედაქციის მუშაკები ლაშქრობის მთელ სიმძიმეს იტანდნენ. თანამშრომელთა ნაწილი მუდამ მოწინავე პოზიციებზე იყო. მოდიოდნენ რედაქციაში, სტოვებდნენ კორესპონდენციებს და ბრუნდებოდნენ უკან, ფრონტზე. რედაქციასა და სტამბაში მუშაობდნენ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, ასოთამწყობს ხელში ეჭირა საპწკრე და იქვე კუთხეში მიყუდებული ჰქონდა შაშხანა. ყოველ წუთს ყოველი მათგანი მზად იყო ჩაბმულიყო მტერთან ბრძოლაში.

რედაქტორი ყოველდღე იღებდა არმიის ოპერატიულ ცნობებს. ამით იგი ამბების კურსში იყო ხოლმე და სარედაქციო ბრიგადებს ისეთ საკვანძო პუნქტებში ჰგზავნიდა, სადაც ბრძოლა მძაფრ ხასიათს იღებდა. რედაქციას დრო აღარ ეკარგებოდა მასალების ძებნაში.

ასეთივე დიდი სამუშაო ჩაატარეს საველე გაზეთებმა თეთრფინელებთან ბრძოლის პერიოდში.

როგორც კი გაიგეს საველე გაზ. „წითელი ბალტიის ფლოტის" რედაქციაში წითელი არმიის შეტევის შესახებ თეთრფინელების წინააღმდეგ, რედაქციის მთელი კოლექტივი ფეხზე დადგა. საჭირო იყო პირველი საბრძოლო ნომერი დროზე მისულიყო ნაწილში.

ღამით წითელფლოტელებმა მიიღეს გაზ. „წითელი ბალტიის ფლოტის" ნომერი. მთელ გვერდზე მსხვილი შრიფტით იყო წარწერა: „ბალტიელებო! წინ, სამშობლოსათვის! სტალინისათვის!".

გაზეთში წითელფლოტელების წერილები იყო მოთავსებული. წერილებში ლაპარაკი იყო ჩვენი ბრძოლის ამოცანებზე თეთრფინელების წინააღმდეგ, ლაპარაკი იყო თეთრფინელთა პროვოკატორულ მოქმედებაზე. წერილები მოაგონებდნენ მკითხველებს 1919 წელს, როდესაც ბალტიელები მუსრს ავლებდნენ თეთრფინელებს ლადოგაზე და ფინეთის ყურეში.

ამ ნომერმა განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია მებრძოლებში. მათ გამართეს მიტინგები. მთელი ღამე ჰგზავნიდნენ რედაქციაში წერილებს, რეზოლუციებს.

დილით ადრე დაიწყო ბრძოლა. თეთრფინელებმა პირველ დღიდანვე იგემეს ბალტიკის წითელფლოტელების ქვემეხების მძლავრი დარტყმა.

რამდენიმე დღის შემდეგ ფლოტში მოვიდნენ მწერლები. 4 დეკემბერს გაზეთში დაიბეჭდა ვ. ლებედევ-კუმაჩის ლექსი.

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ უცხოეთის პრესაში დაიწყეს ყალბი ცნობების ბეჭდვა, ვითომცდა ფინელები იმარჯვებდნენ წითელ არმიაზე. დაბეჭდეს აგრეთვე ცნობა გემ „კიროვის" დაღუპვის შესახებ.

რედაქციამ გადაწყვიტა ეპასუხნა ამ სიყალბეზე სატირით. ამ დღიდან გაზეთში მუდამ იყო სატირისა და იუმორის განყოფილება, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა წითელ მებრძოლებში.

გაზეთი კვალდაკვალ მიჰყვებოდა წითელ მებრძოლებს ფრონტზე და ბოლშევიკური სიტყვით მოუწოდებდა საგმირო საქმეებისაკენ.

შ. გვინჩიძე

გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების მსმენელთა ერთი ჯგუფი. **სურათზე** (ზევიდან, მარცხნიდან მარჯვნივ): **თ. სანაძე** (თბილისის საბჭოს დეპუტატი), **რ. პლიევა, ს. ხუნდაძე** (ლენინის რაისაბჭოს დეპუტატი), **დ. ცხადაძე, ი. ჩხეიძე, ფ. ჯანაშვილი.**

ძირეული პრესის მუშაკთა ახალი კადრები

გუშინ მუშაობა დაამთავრა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის მიერ მოწყობილმა ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელმა ორთვიანმა კურსებმა.

კურსების მსმენელები შერჩეული იქნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მიერ წარმოება-დაწესებულებათა ძირეული პრესის მუშაკებიდან. მსმენელთა შორის იყვნენ კედლის გაზეთების რედაქტორები — 18, სარედაქციო კოლეგიის წევრები—21 და მუშკორები—16 კაცი.

კურსებზე მეცადინეობა მარტო თეორიული ლექციების ჩატარებით არ განისაზღვრებოდა. ეწყობოდა წერილებისა და კედლის გაზეთების გარჩევა. აღნიშნულის გარდა, მსმენელთათვის მოეწყო ორი ექსკურსია ავლაბრის ყოფილ არალეგალური რესტავრირებული სტამბისა და ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დასათვალიერებლად.

მსმენელები გაეცნენ აგრეთვე „კომუნისტის" კომბინატის სტამბის მუშაობას. მათ დაათვალიერეს სტამბის ყველა ძირითადი საამქრო, სადაც კეთდება გაზეთი „კომუნისტი" და სხვა მრავალტირაჟიანი გაზეთები.

მსმენელებიდან განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ და სწავლის ფრიადოსნობის საპატიო სახელი მოიპოვეს ამხანაგებმა თავაძემ, ხმალაძემ, მშვიდობაძემ, ტაბატაძემ, მელიამ, ჯანაშვილმა, შენგელიამ, ცარციძემ, სანაძემ, ჭეიშვილმა, ჭანტურიამ, ხუნდაძემ, გ. რამიშვილმა, ცხადაძემ, ინასარიძემ, იაშვილმა, ვ. გიგაურმა, ჩიგოგიძემ, როდონაიამ, ცხოიძემ, ჯობაძემ, ჯანაშიამ და სხვ.

კურსების მსმენელთა საზეიმო გამოშვება მოხდა გუშინ და მიეძღვნა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღეს—5 მაისს.

საქართველოს გაზეთები სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში საქართველოს მხოლოდ 4 რაიონული გაზეთი იღებდა მონაწილეობას. გამოფენაზე საქართველოდან არ იყო არცერთი მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთი.

1940 წლის გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლების მოპოვებისათვის საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს, შედეგებიც თვალსაჩინოა. ბევრმა გაზეთმა ღირსეულად მოიპოვა ეს უფლება. უკვე დამტკიცებულია გამოფენის კანდიდატად 3 რესპუბლიკური, 1 საოლქო, 12 რაიონული, 1 მრავალტირაჟიანი და 4 კედლის გაზეთი, აგრეთვე პრესის რამდენიმე მოწინავე მუშაკი. რესპუბლიკური გაზეთებიდან 2 უკვე დამტკიცებულია გამოფენის მონაწილედ მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ.

აღნიშნული გაზეთების რედაქციების მიერ გამოფენაზე წარდგენილი ექსპონატები — გაზეთების კომპლექტები, თემატიური ალბომები, მონოგრაფიები და სხვ. ნათლად ასახავენ იმ დიდ მუშაობას, რომელსაც საქართველოს ბოლშევიკური პრესა ეწევა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისა და დიდი **სტალინის** მითითებათა განუხრელად განხორციელებისათვის. გამოფენაზე წარდგენილი არიან გაზეთები, რომლებმაც თავი ისახელეს შეუნელებელი ბრძოლით ორდენოსანი საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლისა და აყვავების საქმეში. ეს გაზეთები სათავეში ედგნენ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებას, ენერგიულად მუშაობდნენ მოწინავეთა გამოცდილების ჩვენებისა და დანერგვისათვის, მტკიცედ იბრძოდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად გატარებისათვის, საკოლმეურნეო მიწების — კოლმეურნეობათა კეთილდღეობის ამ ძირითადი საფუძვლის—განიავებისაგან დაცვისათვის, კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, სუბტროპიკულ, ტექნიკურ და სპეციალურ კულტურათა და სოციალისტური მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობისათვის. ეს გაზეთები დროულად ეხმაურებოდნენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს და რაზმავდნენ ფართო მასებს ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბრძოლველად. ამ წარმატებებს გაზეთებმა მიაღწიეს იმით, რომ თავიანთ ირგვლივ შემოიკრიბეს მუშსოფლკორთა აქტივი, სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ მშრომელთა სიგნალებს და საქმით ეხმარებოდნენ მათ მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. რესპუბლიკური და საოლქო გაზეთებიდან გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ **„კომუნისტი"**, **„ზარია ვოსტოკა"**, **„საბჭოთა სუბტროპიკები"** და **„აპსნი ყაფში"** (აფხაზეთი).

რაიონული გაზეთებიდან გამოფენაზე წარდგენილი არიან: **„მებრძოლი"** (ზუგდიდი), **„ლენინის დროშა"** (მახარაძე), **„კოლმეურნე"** (სიღნაღი), **„ბრძოლა თამბაქოსათვის"** (ლაგოდეხი), **„სტალინელი"** (გორი), **„მგზნებარე კოლხიდელი"** (ფოთი), **„კოლმეურნის ხმა"** (თელავი), **„ბოლშევიკური ტემპით"** (ბორჯომი), **„ლენინის დროშით"** (ორჯონიკიძე), **„ლენინელი"** (ზესტაფონი), **„ქობულეთელი კოლმეურნე"** (ქობულეთი) და **„დამკვრელი კოლმეურნე"** (ლანჩხუთი).

მოგვყავს ზოგიერთი მათგანის მუშაობის დამახასიათებელი მაჩვენებლები.

ზუგდიდის ყოველდღიური რაიონული გაზეთი **„მებრძოლი"** (რედაქტორი — ამხ. ს. ებრალიძე) 1939 წელს მონაწილეობდა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისადმი აქტიური დახმარებისათვის სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა ეს გაზეთი დააჯილდოვა II ხარისხის დიპლომით. 1939 წ. გაზეთმა კიდევ უფრო უკეთესი წარმატებები მოიპოვა. გაზეთი სისტემატურად ათავსებდა გამოფენის მონაწილეთა წერილებს თავიანთ მუშაობაზე და იმაზე, თუ როგორ იყენებენ ისინი პრაქტიკულად გამოფენაზე მიღებულ გამოცდილებას. გაზეთი სათავეში ედგა ზუგდიდის და ტელალაევკის (უკრაინის სსრ) რაიონებს შორის მოწყობილ სოცშეჯიბრებას.

წარმატებებისათვის მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ II ხარისხის დიპლომით დაჯილდოებულია აგრეთვე 1939 წლის გამოფენის მონაწილე, მახარაძის რაიონული გაზეთი **„ლენინის დროშა"** (რედაქტორი—ამხ. ლ. მახარაძე). გაზეთი აქტიურად ეხმარება რაიონის 471 კედლის გაზეთს. მახარაძის რაიონულ და ძირეულ პრესას თავის ირგვლივ შემოკრებილი ჰყავს 3058 მუშსოფლკორი. გამოფენისათვის მზადებასთან დაკავშირებით „ლენინის დროშამ" სოცშეჯიბრებაში ჩააბა 20 საკოლმეურნეო კედლის გაზეთი, რომლებიც საუკეთესოდ ეხმარებიან კოლმეურნეობებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში. რაიონული გაზეთის სისტემატური დახმარებით უმჯობესდება მუშაობა კოლმეურნეობების საბრიგადო კედლის გაზეთებისაც, რომელთა რიცხვიც 292 აღწევს. „ლენინის დროშა" სათავეში უდგას კოლმეურნეობათა სოცშეჯიბრებას. მარტო მისი ინიციატივით სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია რაიონის კოლმეურნეობათა სამი მეოთხედი. გამოფენის მზადებასთან დაკავშირებით გაზეთმა მოწინავე კოლმეურნეობათა დასაჯილდოებლად დააწესა ორი გარდამავალი დროშა, რამაც დიდად შეუწყო ხელი სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა მაღალხარისხოვნად შესრულებას.

სიღნაღის რაიონული გაზეთი **„კოლმეურნე"** (რედაქტორი ამხ. ი. სიმონიშვილი) 1940 წელსაც ღებულობს მონაწილეობას გამოფენაში. გაზეთმა ნაყოფიერი მუშაობით რაიონის მშრომელთა შორის კარგი ავტორიტეტი მოიპოვა. გაზეთი ენერგიულად ეხმარება რაიონის პარტიულ-საბჭოთა ორგანიზაციებს და სამიწათმოქმედო ორგანოებს გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. გაზეთის ფურცლებზე ოპერატიულად შუქდება მარცვლეული და ტექნიკური კულტურების, მევენახეობის და სოციალისტური მეცხოველეობის ზრდა-განვითარების საკითხები.

ლაგოდეხის რაიონული გაზეთი **„ბრძოლა თამბაქოსათვის"** (რედაქტორი — ამხ. ა. სავჯაია) სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში 1939 წელსაც იღებდა მონაწილეობას. გამოფენაზე მიღებული გამოცდილებით გაზეთმა კიდევ უფრო გააუმჯობესა მუშაობა. გაზეთის მუშაობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშსოფლკორებისა და ძირეული პრესის მუშაკებისადმი დახმარება. 1937 წელთან შედარებით გაზეთის ენერგიული მუშაობით მუშსოფლკორთა რაოდენობა ერთიორად გაიზარდა. გაიზარდა კედლის გაზეთების რაოდენობაც. თუ 1937 წელს რაიონში 62 კედლის გაზეთი იყო, ახლა 378 კედლის გაზეთია. რედაქციის მუშაკები არა მარტო კონსულტაციებს უწევენ, არამედ ადგილზე მისვლით პრაქტიკულად ეხმარებიან კედლის გაზეთების მუშაკებს. რაიონული გაზეთის სოფლკორებიდან ბევრი დაწინაურდა ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციის საქმეში საკმაო წარმატებები მოიპოვა ქობულეთის რაიონულ გაზეთ **„ქობულეთელ კოლმეურნეს"** (რედაქტორი—ამხ. ა. სანიკიძე). გაზეთი სანიმუშოდ იბრძვის ჩაის, ციტრუსებისა და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების შემდგომი განვითარებისათვის. გაზეთში ფართოდ მონაწილეობენ სუბტროპიკულ კულტურათა მაღალი მოსავლის ოსტატები, სტახანოველები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, რგოლის ხელმძღვანელები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და რაიონის სხვა აქტივი. კედლის გაზეთებისა და მუშსოფლკორებისათვის პრაქტიკული დახმარების მიზნით გაზეთი სისტემატურად იწვევს მათს თათბირებს. მარტო 1939 წ. გაზეთმა მოაწყო 40 ასეთი თათბირი და კონსულტაცია, მათ შორის 36 უშუალოდ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში.

ფოთის გაზეთი **„მგზნებარე კოლხიდელი"** (რედაქტორი—ამხ. გ. საბაშვილი) კარგად აშუქებს კოლხიდის ათვისების საკითხებს. გაზეთმა 1939 წელს მოაწყო კედლის გაზეთების კონკურსი, რომელშიაც 50 კედლის გაზეთი მონაწილეობდა. კონკურსთან დაკავშირებით დაარსდა 14 ახალი კედლის გაზეთი, გაუმჯობესდა კედლის გაზეთების მუშაობის ხარისხი. კონკურსში გამარჯვებული 9 კედლის გაზეთი დაჯილდოვდა. გაზეთი ხშირად აწყობს მუშსოფლკორთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრთა 3-დღიან კურს-სემინარებს და სხვ.

გარდა აღნიშნულისა, 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარდგენილია: კოლხიდმშენის საექსკავატორო სადგურის მრავალტირაჟიანი გაზეთი **„ახალი კოლხიდისათვის"** (რედაქტორი—ამხ ა. ნანეიშვილი), კოლხიდმშენის სანერგე მეურნეობის კედლის გაზეთი **„ევკალიპტის კულტურისათვის"** (რედაქტორი—ამხ. ვ. ქორჩილავა), ფოთის ქალაქის საბჭოს კედლის გაზეთი **„ნარინჯის ველი"** (რედაქტორი—ამხ. გ. მამულია). ზესტაფონის მტს-ის კედლის გაზეთი **„ჩვენი სოფლის სიამაყე"** (რედაქტორი—ამხ. დ. ჯულელი) და ზესტაფონის რაიონის სოფ. სვირის კოლმეურნეობის კედლის გაზეთი **„სტახანოველი"** (რედაქტორი—ამხ. ს. იაკობიძე).

აღსანიშნავია, რომ 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მზადებასთან დაკავშირებით საერთოდ თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა როგორც რაიონული, ისე კედლის გაზეთების მუშაობა. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია. გაზეთების შემდგომი მუშაობა უნდა წარიმართოს იქითკენ, რომ მიღწეულ წარმატებათა შესანარჩუნებლად უფრო ენერგიულად გაშალონ ბრძოლა 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის, ფართოდ უჩვენონ თავიანთ ფურცლებზე გამოფენის მონაწილეთა მდიდარი გამოცდილება და სათავეში ჩაუდგნენ ამ გამოცდილების უფრო ფართოდ დანერგვას.

ბოლშევიკური პრესის წარსულიდან

ახალი ცხოვრება
ბრძოლა
დრო
Бакинский рабочий
Кавказский рабочий листок
პროლეტარიატის ბრძოლა
ჩვენი ცხოვრება
ახალი ცხოვრება
ИСКРА

„არალეგალური რევოლუციური გაზეთის დაარსების იდეა ამხანაგებმა სტალინმა და კეცხოველმა ჯერ კიდევ 1898 წელს წამოაყენეს; მათი მიზანი იყო რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდა და „მესამე დასის" ქართული უმრავლესობისა და მათი ლეგალურ გაზეთ „კვალის" წინააღმდეგ ბრძოლა.

1901 წლის სექტემბერში ამხ. კეცხოველმა ბაქოში გამოუშვა თბილისის სოციალ-დემოკრატიის ორგანოს — გაზეთ „ბრძოლის" პირველი ნომერი".

„გაზეთი „ბრძოლა" — თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მისი ლენინურ-ისკრული ჯგუფის პირველი არალეგალური გაზეთი, იცავდა რევოლუციური მარქსიზმის თეორიულ საფუძვლებს და პროლეტარიატის რევოლუციურ-კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს.

გაზეთი „ბრძოლა" ასაბუთებდა და ავითარებდა იმის აუცილებლობას, რომ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები გადასულიყვნენ მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე, მოეწყოთ მუშათა კლასის რევოლუციური პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იგი იცავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ იდეას".

„გაზ. „ისკრის" იდეა ფართო პოლიტიკური აგიტაციისა და რევოლუციური მარქსიზმის იდეების პროპაგანდის საფუძველზე ერთიანი რევოლუციური პარტიის მოწყობის შესახებ, გაზეთმა „ბრძოლამ" თავის სახელმძღვანელო პრინციპად გაიხადა".

„1904-1907 წლების პერიოდში ამხანაგი სტალინი, რომელიც ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა სათავესთან დგას, უდიდეს თეორიულ-ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა. იგი ხელმძღვანელობს და წარმართავს მთელი ბოლშევიკური პრესის ბრძოლას".

ლ. პ. ბერია


ბრძოლა
პროლეტარიატის ბრძოლა
№ 7
ახალი ცხოვრება
№ 18
ჩვენი ცხოვრება
№ 9
დრო

„პროლეტარიატის ბრძოლა"

კავკასიაში პირველი ნამდვილად პროლეტარული ორგანიზაციების შექმნისათვის დაძაბულ საორგანიზაციო მუშაობასთან ერთად, დიდი სტალინი ხელმძღვანელობდა იდეურ ბრძოლას რევოლუციური მარქსიზმის დროშით. იგი ხელმძღვანელობდა და წარმართავდა მთელი ბოლშევიკური პრესის ბრძოლას.

1903 წელს მარტის ბოლო რიცხვებში კავკასიის კავშირის კომიტეტის პირველი ყრილობის დადგენილებით ქართული გაზ. „ბრძოლა" და სომხური გაზ. „პროლეტარიატი" გაერთიანდნენ საერთო სახელწოდებით: „პროლეტარიატის ბრძოლა", რომელიც 1903 წლის აპრილ-მაისიდან 1905 წლის ოქტომბრამდე გამოდიოდა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. სულ გამოვიდა 12 ნომერი.

გაზეთში იბეჭდებოდა ლენინისა და სტალინის სახელმძღვანელო წერილები, შუქდებოდა მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვანი საკითხები, იწერებოდა კორესპონდენციები რაიონებიდან მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ.

„პროლეტარიატის ბრძოლის" პირველ ნომერში გადმობეჭდილია „ისკრიდან" ლენინის სტატია: „თვითმპყრობელობა ირყევა". ამ სტატიაში ლენინი ააშკარავებს 1903 წ. 26 თებერვალს მეფის მანიფესტის გამოცემის მიზანს, სთვლის რა ამ მანიფესტს მეფის მთავრობის მანევრად და ფარისევლობად, მზარდი რევოლუციური მოძრაობის შიშით.

„პროლეტარიატის ბრძოლის" მეორე ნომრის (№ 7—ქართულად, № 4—სომხურად) მოწინავე მიძღვნილია დიდი სტალინის თანამებრძოლის—ლადო კეცხოველის ხსოვნისადმი. ამავე ნომერში მოთავსებულია ამხანაგ სტალინის ბრწყინვალე სტატია „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური კითხვა?" — მიძღვნილი ნაციონალური საკითხის შესახებ რ.ს.დ.მ.პ. II ყრილობაზე მიღებული პარტიული პროგრამის სათანადო პარაგრაფების დაცვისა და დასაბუთებისადმი.

ამხანაგ სტალინის ამ სტატიაში უკვე მოცემულია ძირითადი პრინციპები, რომლებიც შემდეგ განვითარებულია მის შრომაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი".

ამხანაგი სტალინი გვაძლევს ნაციონალური საკითხის დიალექტიკურ დაყენებისა და გადაჭრის ბრწყინვალე ნიმუშს:

„ყველაფერი იცვლება... იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება და მასთან ერთად იცვლება „ნაციონალური კითხვაც". სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა კლასები გამოდიან ბრძოლის მოედანზე,—ყველა კლასს კი თავისებურად ესმის „ნაციონალური კითხვა". „ნაციონალური კითხვა", სხვა-და-სხვა ელფერს იღებს, იმისდა მიხედვით თუ რომელი კლასი და როდის წამოაყენებს მას".

ამხანაგი სტალინი იძლევა „ფეოდალურ-მონარქიული" ნაციონალური მოძრაობის დახასიათებას; გვაძლევს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნაციონალური მოძრაობის მარქსისტულ განსაზღვრას, ხაზს უსვამს კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის გამარჯვების ინტერესებისადმი ნაციონალური საკითხის დაქვემდებარების აუცილებლობას.

„პროლეტარიატის ბრძოლა" № 8 (1905 წ. 1 (14) იანვარი) იწყება მეთაური წერილით: „შეგნებული პროლეტარიატის ბრძოლა", რომელიც წარმოადგენს კლასთა ბრძოლის მარქსისტული თეორიის ბრწყინვალე გადმოცემას. ამავე ნომერში მოთავსებულია ამხანაგ სტალინის გენიალური სტატია „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია". იდეები, რომლებიც აქ არის განვითარებული, არსებითად, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში თითქმის სიტყვა-სიტყვით, ემთხვევა იმ იდეებს, რომლებიც განვითარებულია ლენინის გენიალურ შრომაში: „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან". წერილში ბრწყინვალედ დაცულია ლენინის შეხედულება ახალი ტიპის პარტიის შექმნის შესახებ. პარტია დახასიათებულია როგორც მუშათა კლასის მოწინავე, ორგანიზებული რაზმი: „პროლეტართა პარტია, როგორც წინამძღოლთა მებრძოლი ჯგუფი, ჯერ ერთი, ბევრათ მცირე უნდა იყვეს პროლეტართა კლასზე თავისი წევრების რაოდენობით. მეორეთ, მაღლა უნდა იდგეს პროლეტართა კლასზე მისი შეგნებითა და გამოცდილებით და, მესამეთ, მჭიდრო ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს".

ამხანაგი სტალინი, აკრიტიკებს რა მეორე ყრილობას, რომელმაც მიიღო პარტიის წესდების პირველი მუხლი მარტოვის ფორმულირებით, სწერს: „ჩვენ მოუფიქრებლობის შედეგად მიგვაჩნია მეორე პარტიული კრების გადაწყვეტილება, რომელმაც (კრებამ) მარტოვის განმარტება მიიღო, და სრული იმედი გვაქვს, რომ მესამე პარტიული კრება უეჭველათ გაასწორებს მეორის შეცდომას და ამხ. ლენინის განმარტებას მიიღებს".

დიდი ბელადის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები პარტიის მესამე ყრილობამ საქმედ აქცია.

„პროლეტარიატის ბრძოლის" მეცხრე ნომერში მოთავსებულია ამხანაგ სტალინის წერილი მისი საუკეთესო თანამებრძოლის ა. წულუკიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. „პროლეტარის" № 1-დან გადმობეჭდილია ლენინის წერილი „მესამე ყრილობა", სადაც მოკლედ და მკაფიოდ არის გაშუქებული მესამე ყრილობის მუშაობა და ყრილობის გადაწყვეტილებანი. აქვე დაბეჭდილია ამხანაგ სტალინის წერილი: „დროებითი რევოლუციონური მმართველობა და ჩვენი ტაქტიკა".

„პროლეტარიატის ბრძოლის" შემდეგ ნომრებში დაიბეჭდა ლენინის სტატია: „რევოლუციონური პროლეტარიატის დემოკრატიული მიზანი", ამხანაგ სტალინის სტატია: „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა". 1905 წელს 15 (28) აგვისტოს გამოდის „პროლეტარიატის ბრძოლა" № 11. ამ ნომრის შესახებ ცენტრალური ორგანო „პროლეტარის" № 22-ში მოთავსებულია ლენინის რეცენზია, სადაც ბრწყინვალედ არის შეფასებული „პროლეტარიატის ბრძოლის" № 11-ში მოთავსებული სტალინის წერილები: „მეფის მანიფესტი და ხალხის რევოლუცია", „დროებითი რევოლუციონური მთავრობა და სოციალდემოკრატია", „პასუხი „სოციალ-დემოკრატს", „სადღეგრძელოთი დაიწყეს და შესანდობრით გაათავეს".

„პასუხი სოციალ-დემოკრატს" წარმოადგენს სტიქიურობის მენშევიკური თეორიის გამანადგურებელ კრიტიკას; ამ სტატიაში ამხანაგი სტალინი „ასაბუთებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას მუშათა კლასისათვის რევოლუციური თეორიისა და პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობის შესახებ. აქ ამხანაგი სტალინი გამოდის ლენინის ნაშრომის — „რა ვაკეთოთ?"—დასაცავად" (ლ. პ. ბერია).

გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა" რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შესანიშნავ საგიტაციო-საპროპაგანდო ტრიბუნას წარმოადგენდა.

გ. ცხაკაია

სტალინური სტრიქონების დიადი ძალა

(მოგონება)

ბოლშევიკური არალეგალური მუშაობის წლებში ბაქოში უდიდესი როლი შეასრულა ჩვენმა პარტიულმა პრესამ, რომლის ფუძემდებელნი არიან ლენინი და სტალინი.

მე მინდა გაგიზიაროთ სხვადასხვა წლების მოგონებანი იმის შესახებ, თუ როგორ რაზმავდნენ, წარმართავდნენ და აწრთობდნენ ამხანაგ სტალინის სტატიები და სიტყვები ბაქოს პროლეტარებს კაპიტალთან და თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში.

მე მაშინ ზეინკლად ვმუშაობდი ბიბი-ეიბათის ნავთის მრეწველთა საზოგადოების ერთერთ ქარხანაში.

ერთხელ ჩვენთან ქარხანაში ამხანაგი სტალინი მოვიდა. მან მითხრა: „სტამბას ჩავარდნა ელის, უნდა ვიხსნათო"...

ჩვენს სტამბას პროვოკაცია ემუქრებოდა, და საჭირო იყო დაუყოვნებლივ თავიდან აგვეცილებინა ჩავარდნა, — გადაგვეტანა დაზგა და დანარჩენი მოწყობილობა სხვა, საიმედო ბინაზე.

სტამბა ორჯერ გადაარჩინა ამხანაგმა სტალინმა. მისი გამჭრიახი რევოლუციური სიფხიზლის მეოხებით ჩვენ მოვახერხეთ რამდენიმე პროვოკატორის გამოაშკარავება.

ამხანაგმა სტალინმა დროულად გადაიტანა სტამბა ახალ ბინაზე, სანამ ჟანდარმები გამოჩნდებოდნენ.

პროკლამაციები ჩვენს რაიონში არალეგალური სტამბიდან ამხანაგ ხანლარს მოჰქონდა. მან ჩემს გარდა ერთადერთმა იცოდა სტამბის ადგილსამყოფელი.

დილით ადრე, გარიჟრაჟზე, ის აიღებდა ყუთს, მოურიგდებოდა მზიდავ მუშას, ყოველთვის ერთსადაიმავეს, და მიდიოდა სტამბაში. ყუთში აწყობდნენ კონა-კონა პროკლამაციებს, ზემოდან კი ახალ გამომცხვარ პურს. ასეთი „ტვირთის" გადატანა გზაში შემხვედრ პოლიციელთა ეჭვს არ იწვევდა.

ამხანაგ ხანლარს პროკლამაციები ჩვენს ქარხანაში მოჰქონდა, ჩვენ კი, ჩვენის მხრით, ვავრცელებდით მათ მუშათა წარმომადგენლების საშუალებით რაიონის დანარჩენ ქარხნებში.

და აი დილით ადრე ჩვენ ვიწყებდით ფურცლების ჩაყრას მუშების საიარაღო ყუთებში, ამასთან არც ჩვენს ყუთებს გამოვტოვებდით ხოლმე, რომ ადმინისტრაციას ეჭვი არ აეღო.

ზოგჯერ ფურცლებს კედლებზე ვაკრავდით.

ამ პროკლამაციებიდან ბევრი ამხანაგ სტალინის მიერ იყო დაწერილი. ერთხელ მე ვნახე, რომ ამხანაგმა სტალინმა, ქარხნის წრესთან მეცადინეობის შემდეგ, იქვე შეადგინა პროკლამაციის ტექსტი. ის სწრაფად ეხმაურებოდა მუშათა მოძრაობის ყველა საკითხს და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რევოლუციური მარქსიზმის ბეჭდვით პროპაგანდას.

ჩვენს ქარხანაში მუშათა წრესთან ამხანაგმა სტალინმა სამი თუ ოთხი მეცადინეობა ჩაატარა. ვიკრიბებოდით საღამოს ქარხნის სასადილოში.

მუშებს უყვარდათ თავისი მასწავლებელი და პატივს სცემდნენ მას. ამხანაგი სტალინი ჩვენთან მეცადინეობდა გასაგებ მუშურ ენაზე, და ყველაფერი, რასაც ის ამბობდა, ძვირფასი იყო მუშისათვის.

დიდი იყო არალეგალური პარტიული პრესისა და სტალინური პროპაგანდის უბრალო, ყველასათვის გასაგები სიტყვების ძალა.

ი. ვაცეკი

ი. ბ. სტალინი 1906 წ.

„ჩვენი ცხოვრება"

ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირული ბრძოლის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბოლშევიკურ პრესას, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რევოლუციური მოძრაობის განვითარებისა და ბოლშევიზმის იდეების დანერგვის საქმეში. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლშევიკური გაზეთი „ჩვენი ცხოვრება", რომელიც გამოდიოდა 1907 წლის 18 თებერვლიდან 6 მარტამდე. სულ გამოვიდა 13 ნომერი. გაზეთი იბეჭდებოდა სტამბა „საქმეში" (ყოფ. მიხეილის პროსპექტი № 40), რედაქცია მოთავსებული იყო ყოფ. ელისაბედის ქ. № 88-ში.

გაზეთის სახელმძღვანელო და ძირითადი სტატიები ამხანაგ სტალინის კალამს ეკუთვნის. ისინი იბეჭდებოდა უმთავრესად ხელმოუწერლად.

„ჩვენი ცხოვრება" გამოდიოდა მეორე სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის პერიოდში. გაზეთში მოთავსებული სტატიებისა და შენიშვნების ძირითადი ნაწილი ამ საკითხის გარშემო ტრიალებს. გაზეთში გამოქვეყნებულ მასალებში გაშუქებულია ბოლშევიკების ტაქტიკა II სახელმწიფო სათათბიროს მიმართ, მეცნიერულად დასაბუთებულია ბოლშევიკური ტაქტიკა. გაზეთი ამხელს ლიბერალური ბურჟუაზიის, მენშევიკების, ფედერალისტების და სხვა პოლიტიკური პარტიების მოღალატურ პოზიციას.

ლიბერალური ბურჟუაზიის კლასიკური კრიტიკა და ბოლშევიკების ტაქტიკის ღრმა თეორიული დასაბუთება მოცემულია გაზ. „ჩვენი ცხოვრების" მოწინავე სტატიებში, რომლებიც ამხანაგ სტალინის კალამს ეკუთვნის.

სტალინი ამ სტატიებში ააშკარავებს ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ ბუნებას, რომელმაც რევოლუციის დასაწყისშივე მოლაპარაკება გამართა რეაქციასთან, ცარიზმთან. რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

გაზ. „ჩვენი ცხოვრება" ყოველ ნომერში სისტემატურად ამხელდა მენშევიკებს, მათს ოპორტუნისტულ ტაქტიკას. იგი მშრომელი მასების წინაშე ფარდას ხდიდა და ააშკარავებდა მენშევიკების მოღალატურ ტაქტიკას.

ამხანაგ სტალინის ხელმოუწერელ მოწინავე სტატიებში: „რევოლუცია თუ ოპოზიცია?" („ჩვ. ცხ." № 3-5) გაშუქებულია ბოლშევიკების შეხედულება სათათბიროზე, სათათბირო თავის თავად უძლური და უუფლებოა, მხოლოდ სოციალ-დემოკრატიამ იგი უნდა გამოიყენოს, როგორც საგიტაციო ტრიბუნა.

„სააგიტაციოთ, — სწერს ამხანაგი სტალინი, — მასსათა შესაკავშირებლად სრულებითაც არ არის საჭირო „საერთო ოპოზიცია". პირიქით, რაც უფრო თავისუფლად გვიჭირავს თავი, რაც უფრო დამოუკიდებელი ვართ წაჯექ-უკუჯექა ბურჟუაზიისაგან, რაც უფრო ფართოდ და ცალკე გვაქვს გაშლილი ჩვენი საკუთარი პროლეტარულ-რევოლუციონური დროშა, მით უფრო უკეთესად წავა აგიტაცია, მით უფრო ადვილი იქნება ხალხის მასსათა შეკავშირება, მით უფრო უკეთეს დახმარებას გაუწევთ ხალხს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ".

გაზ. „ჩვენ ცხოვრებაში" „კო..."-ს ხელმოწერით იბეჭდებოდა გაგრძელება ამხანაგ სტალინის შრომისა: „ანარხიზმი თუ სოციალიზმი?"

„ჩვენს ცხოვრებაში" იბეჭდებოდა აგრეთვე მასალები რევოლუციური ბრძოლის განვითარების შესახებ; „ხალხი კვლავ ღელავს, ხალხი ბობოქრობს სათათბიროს გარეთ... ის გარედან ხმას აძლევს თავის წარმომადგენლებს სათათბიროში, მართავს კრებებს, მიტინგებს, ადგენს რეზოლუციებს, ნაკაზებს" („ჩვენი ცხოვრება" № 10).

გაზ. „ჩვენი ცხოვრება" ხშირად მიმართავდა და ფართოდ იყენებდა იმდროინდელი ბოლშევიკური გაზეთების მასალებს. მოჰყავდა ცნობები, მნიშვნელოვანი ადგილები გაზ. „პროლეტარიდან" (გამოდიოდა საზღვარგარეთ ვ. ი. ლენინის რედაქტორობით) და „ნოვი ლუჩიდან" (გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წ. თებერვალს), განსაკუთრებით ვ. ი. ლენინის სტატიებიდან.

ამავე დროს „ჩვენი ცხოვრების" ფურცლებზე მოცემულია იმდროინდელი რეაქციული, ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული, მენშევიკური, ფედერალისტური პრესის და მათი ლიდერების გამანადგურებელი კრიტიკა. განსაკუთრებული მახვილი ენით გაკრიტიკებულია მენშევიკური გაზეთი „წინ".

გაზ. „ჩვენს ცხოვრებაში", რომელმაც II სახელმწიფო სათათბიროს გახსნის პერიოდში რევოლუციური ტრიბუნის როლი შეასრულა, მოთავსებულია ამხანაგ სტალინის სახელმძღვანელო სტატიები, რომლებშიც ბოლშევიკურ იდეებს ნერგავდა მასებში, უდიდეს აღშფოთებას იწვევდა რევოლუციის მტრების ბანაკში.

6 მარტს თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გაზეთი „ჩვენი ცხოვრება" დახურეს „მავნე მიმართულებისათვის", წაიღეს შრიფტი და დააპატიმრეს რედაქტორ-გამომცემელი.

თვითმპყრობელობის აგენტებმა დახურეს „ჩვენი ცხოვრება", მაგრამ ვერ შეაჩერეს ბოლშევიკური გაზეთის გამოცემა. „ჩვენს ცხოვრებას" მოჰყვა გაზეთი „დრო", რომლის პირველი ნომერი გამოვიდა „ჩვენი ცხოვრების" დახურვის მეხუთე დღეს (11 მარტს) და რომლის ფურცლებზე გაისმა დიდი სტალინის მგზნებარე, რევოლუციური სიტყვები.

ხ. ბერიძე

არალეგალური სტამბა

(მოგონება)

ამხანაგი სტალინი არაერთხელ გვეუბნებოდა ყველას, ვინც მის ბათუმის წრეში ვმუშაობდით, რომ აუცილებლად საჭიროა არალეგალური სტამბის მოწყობა ფურცლებისა და სხვადასხვა ბროშურების საბეჭდავად.

— საჭიროა გავაცნოთ მშრომელთა ფართო მასები ჩვენს მუშაობას, თვალი ავუხილოთ მათ, დავრაზმოთ მუშები ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად,—ყოველთვის გვეუბნებოდა ის, როცა სტამბაზე ჩამოვარდებოდა სიტყვა.

ამხანაგ სტალინის მეცადინეობით აწყობილ იქნა სტამბის დაზგა. ის დაიდგა იმ ოთახში, სადაც სტალინი ცხოვრობდა. ფურცლების საბეჭდავად ქაღალდი გვქონდა.

იმ დროს ბათუმის მეტწილ საწარმოებში ენერგიულად მუშაობდნენ სოციალ-დემოკრატიული წრეები, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა. უფრო ხშირად დაიწყო პოლიტიკური დემონსტრაციების მოწყობა. ბათუმის მუშების ერთერთი ყველაზე დიდ დემონსტრაციათაგან — 1902 წლის 9 მარტის დემონსტრაციას — მეფის ჯარებმა სროლა აუტეხეს, და მასში მონაწილე რამდენიმე ასეული მუშა გადასახლებულ იქნა ბათუმიდან.

9 მარტს საღამოს დემონსტრაციის შემდეგ ამხანაგმა სტალინმა შეგვკრიბა და გვითხრა:

— საჭიროა რადაც არ უნდა დაგვიჯდეს გავაცნოთ მუშათა ფართო მასები, ყველა მშრომელნი არა მარტო ბათუმის, თბილისის, ფოთისა და ბაქოსი, არამედ მთელი რუსეთისაც ბათუმში მომხდარ ამბებს. დაე იცოდეს ყველა მუშამ, რომ მეფის ხელისუფლება კაპიტალისტებისა და ბურჟუაზიის დამცველია. საჭიროა სასწრაფოდ გამოვუშვათ ბათუმელი მუშების დახვრეტისადმი მიძღვნილი ფურცელი.

დიდხანს არ დამავიწყდება ის ღამე... ვიწრო ოთახი ოდნავ არის განათებული ნავთის მბჟუტავი ლამპით. პატარა, მრგვალ მაგიდასთან ზის ამხანაგი სტალინი და სწერს. მის გვერდითაა სტამბის დაზგა, რომელთანაც ფუსფუსებენ ასოთამწყობები. შრიფტი ჩაწყობილია ასანთისა და პაპიროსის კოლოფებში და ქაღალდებზე. ამხანაგი სტალინი ნაწილ-ნაწილ აწვდის ასოთამწყობებს თავის ნაწერს. მე წამდაუწუმ გამოვდივარ ეზოში და ფხიზლად ვუგდებ ყურს ღამის სიჩუმეს. ბოლოს სტალინმა წერა დაამთავრა. ადგა და დაწერილი წაგვიკითხა.

პროკლამაციის ტექსტმა ყველა ჩვენგანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. უბრალო და გასაგები სიტყვებით პროკლამაცია გადმოსცემდა იმ მუშების, „ქვეყნის მარჩენლების" დახვრეტის ამბავს, რომლებმაც გაბედეს თავისი მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნა. პროკლამაცია განმარტავდა, რომ მეფე და მთელი სახელმწიფო აპარატი კაპიტალისტების ინტერესთა სადარაჯოზე დგანან, რომ მუშები არსაიდან არ უნდა მოელოდნენ დახმარებას და მხოლოდ მათი გაერთიანება და ერთსულოვნად გამოსვლა შეუწყობს მათ ხელს მეფისა და კაპიტალისტების დამხობაში. პროკლამაცია დაწვრილებით აწერდა დემონსტრანტების დახვრეტას.

უკვე ინათა, მაგრამ მუშაობა გრძელდებოდა. დილისათვის დაბეჭდილი იყო რამდენიმე ასეული ფურცელი. სტალინმა წინადადება მისცა ასოთამწყობებს არ დაეშალათ ანაწყობი, არამედ გამოეყენებინათ ის განმეორებით დასაბეჭდად, რომ ფურცლები სოფელშიაც გაგვეგზავნა. და, მართლაც, დემონსტრაციის მსხვერპლთა დაკრძალვის შემდეგ სტამბამ დამატებით დაბეჭდა არაერთი ასეული ფურცელი, რომლებსაც გლეხებში ვავრცელებდით.

ფურცლების გავრცელების წესი ასეთი იყო: საწარმოების წარმომადგენლები — მოწინავე მუშები, ამხანაგ სტალინის წრეების მსმენელები — მოდიოდნენ ჩვენთან, და სტალინი თვითონ ურიგებდა მათ განსაზღვრული რაოდენობის ფურცლებს როგორც მუშებში გასავრცელებლად, ისე სოფლად გადასაგზავნად.

პირადად მე ავიღე ოცდაათი ფურცელი და გავავრცელე ისინი სოფელ შემოქმედის, გონის, ოზურგეთის და სხვ. გლეხებში. პროკლამაციებმა დიდი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა გლეხებზე. ისინი რამდენჯერმე განმეორებით კითხულობდნენ ფურცლებს. სტალინის პროკლამაციების წაკითხვა იწვევდა აზრთა გაცვლა-გამოცვლას, მუქარას და წყევლა-კრულვას მეფისა, მემამულეებისა და კაპიტალისტებისადმი.

ერთხელ ჩვენთან მოვიდა როტშილდის ქარხნის ერთერთი მუშის ცოლი და გაგვაფრთხილა, რომ იმ სახლს, რომელშიაც ამხანაგი სტალინი ცხოვრობდა და სტამბა იყო მოთავსებული, თვალყურს ადევნებენო. ამხანაგმა სტალინმა დაუყოვნებლივ მიიღო ზომები იმისათვის, რომ სტამბა სხვა ადგილას გადაეტანათ და დაწვრილებით გაგვიწია ინსტრუქტაჟი, თუ როგორ გვეჭიროდა თავი დაკითხვისას იმ შემთხვევაში, თუ დაგვაპატიმრებდნენ.

დანიშნულ დროს ჩვენს სახლს ეტლი მოადგა. ამხანაგმა სტალინმა თვითონ გამოიტანა დაშლილი სასტამბო დაზგის ნაწილები, რომლებიც მას ტომარაში გამოხვეული ჰქონდა, და წაიღო ისინი ჩვენს ამხანაგ ლომჯარიასთან.

ამის შემდეგ სტალინი ჩვენს სახლში მხოლოდ მესამე დღეს გამოჩნდა. იმაზე, თუ სად იყო ის და რას აკეთებდა ამ დღეებში, ჩვენ არაფერი ვიცოდით. ფუჭი იყო ამაზე მისთვის შეკითხვების მიცემა, ის დიდი კონსპირატორი იყო.

ი. დარახველიძე



უკრაინის სსრ პროპაგანდისტებისა და აგიტატორების ჯგუფი ავლაბრის რესტავრირებულ არალეგალურ სტამბაში.

ფოტო კვირიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის პრესა სსრ კავშირში 1 მაისის დღესასწაულობის შესახებ

ბერლინი, 3 მაისი (საკდესი). ბერლინური გაზეთები ბეჭდავენ მოსკოვიდან მიღებულ დაწვრილებით ცნობებს წითელ მოედანზე შემდგარი საპირველმაისო პარადისა და დემონსტრაციის შესახებ.

„დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“, „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი“ და სხვა გაზეთები აღნიშნავენ, რომ წითელ მოედანზე იყვნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ მოლოტოვის მეთაურობით.

გაზეთები გადმოგვცემენ ამხ. ვოროშილოვის სიტყვის შინაარსს და ხაზგასმით აღნიშნავენ მის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხალხმა შემდეგშიც უნდა განამტკიცოს თავისი წითელი არმია.

კაუნასი, 3 მაისი (საკდესი). ლიტვურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ლიტვის დეპეშათა სააგენტოს ცნობები წითელ მოედანზე გამართული საპირველმაისო პარადისა და საბჭოთა კავშირში შემდგარი საპირველმაისო დემონსტრაციების შესახებ.

გაზეთებს მოჰყავთ სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ამხ. ვოროშილოვისა და სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის ამხ. კუზნეცოვის ბრძანებანი. გაზეთებმა გამოაქვეყნეს აგრეთვე ამხ. ვოროშილოვის მიერ 1 მაისს წითელ მოედანზე წარმოთქმული სიტყვა.

ტალინი, 3 მაისი (საკდესი). ესტონური გაზეთები დღეს აქვეყნებენ ცნობებს სსრ კავშირში 1 მაისის დღესასწაულობისა და წითელ მოედანზე გამართული საპირველმაისო პარადის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ამხ. ვოროშილოვის ბრძანებას და წითელ მოედანზე ამხ. ვოროშილოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. გაზეთი „პოსტიმეესი“ გამოქვეყნებულ მასალებს ასეთს სათაურს აძლევს: „საბჭოთა კავშირს არა სურს ომი, მაგრამ იგი მუდამ მზად არის მოიგერიოს ყოველი თავდასხმა“.

ანკარა, 3 მაისი (საკდესი). სტამბოლის გაზეთებმა მოათავსეს ცნობები მოსკოვში შემდგარი საპირველმაისო დემონსტრაციის შესახებ. გაზეთებს მოჰყავთ ამხანაგ ვოროშილოვის სიტყვის ამონაწერები.

ჩემბერლენის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 3 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ თემთა პალატაში ინგლისის მთავრობის პრემიერმა ჩემბერლენმა მოკლე განცხადება გააკეთა ნორვეგიაში წარმოებული საომარი მოქმედების მსვლელობის შესახებ. თავისი სიტყვის დასაწყისში ჩემბერლენმა გააფრთხილა პალატა, რომ რამდენადაც მოკავშირეთა ჯარების მიმოძრაობა ნორვეგიაში ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის, ის და ჩერჩილი მხოლოდ შემდგომი კვირის დამდეგს შესძლებენ დაწვრილებითი ცნობები მიაწოდონ პალატას ამ საკითხზე.

ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ მოკავშირეთა მიერ დასახული ამოცანა — წინააღმდეგობა გაეწიათ ან შეეჩერებინათ გერმანელთა წინსვლა სამხრეთიდან—შეიძლებოდა წარმატებით შესრულებულიყო იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული იქნებოდა ტრონჰეიმი. „მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ხასიათის ოპერაცია მეტად სარისკო საქმე იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გერმანელები ბატონობდნენ ნორვეგიაში და თავის განკარგულებაში ჰქონდათ ერთადერთი თანამედროვე აეროდრომი ნორვეგიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში—სტავანგერში, ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ და დავიწყეთ ასეთი ოპერაცია. ტრონჰეიმის ჩრდილოეთით და ნამსოსში 14 აპრილს გადავსხით საზღვაო ჯარის ნაწილები, რის შემდეგ 16 და 18 აპრილს დაიწყო ჯარების გადასხმა. რამდენიმე დღის შემდეგ ნაპირზე გადავიდა საფრანგეთის ალპიური ჯარი. ამ ძალთა ნაწილი სწრაფად დაწინაურდა სტენკიერის მიმართულებით იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწია ნორვეგიელებისათვის, რომლებსაც ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობების თანახმად, ეს ქალაქი ეჭირათ. ტრონჰეიმის სამხრეთით 17 აპრილს ჩვენი საზღვაო ძალები ონდალსნესში გადმოსხდნენ. 18 და 19 აპრილს იქვე გადმოვიდა აგრეთვე ჩვენი ჯარი. ამ ჯარმა წინ წაიწია რკინიგზის მნიშვნელოვან კვანძამდე—დომბოსამდე, ხოლო ნაწილი სამხრეთისაკენ გაემართა ნორვეგიელების დასახმარებლად, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანელებს ლილეჰამერთან. მე არ შემიძლია ახლა რაიმე დაწვრილებითი ცნობები გადმოგცეთ იმ ბრძოლების შესახებ, რომელიც მოკავშირეთა ჯარების იქ გადასვლის მომენტიდან გაიმართა ორივე ფრონტზე. ამ რაიონში მოკავშირეთა ჯარი სერიოზულ სიძნელეებს წააწყდა. მთავარი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა აეროდრომი მოწინააღმდეგის ხელში იყო. ამ პირობებში რამდენიმე დღის წინათ ცხადი შეიქნა, რომ ჰაერში გერმანიის უპირატესობის გამო შეუძლებელია გადავიტანოთ ნაპირზე არტილერია და ტანკები, რაც აუცილებელი იქნებოდა იმისათვის, რომ საშუალება მისცემოდა ჩვენს ჯარს შეეჩერებინა მტრის მოძალება სამხრეთიდან.

ინგლისის წყალქვეშა ნავებისა და საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალებისა და ავიაციის მოქმედებას მიუხედავად, გერმანელებს საშუალება ჰქონდათ ეგზავნათ მაშველი ძალები ნორვეგიაში უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო ჩვენთვის. გასულ კვირას ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ხელი უნდა აგვეღოთ ტრონჰეიმის დაპყრობაზე სამხრეთიდან და რომ „ამიტომ ამ რაიონიდან ჩვენი ჯარი უნდა გამოვიწვიოთ და სხვა ადგილას გადავგზავნოთ. ამჟამად ჩვენ მთელი ჩვენი ჯარი გავიწვიეთ ონდალსნესიდან“.

ამავე დროს ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს გააძლიერონ ხმელთაშუა ზღვაში მყოფი სამხედრო-საზღვაო ძალები. ამჟამად ალექსანდრიისაკენ მიემართება ინგლისისა და საფრანგეთის სახაზო ფლოტები კრეისერებითა და სხვა სამხედრო გემებითურთ.

„ამჟამად,—განაგრძო ჩემბერლენმა, — ჯერ კიდევ ძალიან ადრეა ნორვეგიაში წარმოებული კამპანიის შედეგთა შეჯამება. დამთავრდა ამ კამპანიის მხოლოდ პირველი ფაზა, რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ ვერ მივაღწიეთ ჩვენს მიზნებს, მაგრამ სწორედ ასევე ვერც გერმანელებმა მიაღწიეს თავიანთ მიზნებს, მაშინ როდესაც მათი დანაკლისი გაცილებით აღემატება ჩვენსას. მე მსურს გავაფრთხილო თემთა პალატა და მთელი ჩვენი ქვეყანა, რომ ჩვენ არა გვაქვს განზრახული დავთანხმდეთ იმას, რომ ნორვეგია ომის მეორეხარისხოვან ასპარეზად გადაიქცეს. მაგრამ ჩვენ არა გვაქვს განზრახული აგრეთვე ისე დავფანტოთ ჩვენი ძალები, რომ ამის შედეგად განსაკუთრებით სუსტი აღმოვჩნდეთ უაღრესად მნიშვნელოვან პუნქტში. ჩვენს მოწინააღმდეგეს ცენტრალური მდგომარეობა უკავია. მის განკარგულებაში მოიპოვება უამრავი ძალები, რომლებიც მუდამ მზად არიან თავდასხმისათვის. დარტყმა მოსალოდნელია ელვისებური სისწრაფით ერთ-ერთი მრავალთაგანი მიმართულებით“.

დასასრულ, ჩემბერლენმა სთქვა: „ამჟამად ზოგიერთი ოპერაცია სავსებით გაჩაღებულია. ამიტომ ვთხოვ პალატას თავი შეიკავოს აზრის გამოთქმისაგან და ნუ მომცემს შეკითხვებს მანამდე, სანამ ამ საკითხზე კამათი არ დაიწყება მომავალ კვირაში. ვფიქრობ, რომ იმ მომენტისათვის ეს სიძნელეები უკვე აღარ წამოიჭრება“.

„დეილი უორკერის“ რედაქციის წევრთა გასამართლება

ლონდონი, 2 მაისი (საკდესი). როგორც ვიუწყებოდით, ტრედუნიონთა გენერალური საბჭოს 7 წევრმა, მათ შორის სიტრინმა, „ცილისწამებისათვის“ სასამართლოში უჩივლეს „დეილი უორკერის“ რედაქციას. 29 აპრილს ლონდონში დაიწყო პროცესი ამ „საქმეზე“. პასუხისგებაში მიცემულთ იცავს „დეილი უორკერის“ რედაქციის წევრი, ცნობილი იურისტი, პარლამენტის წევრი პრიტი, რომელიც ამას წინათ გარიცხულ იქნა ლეიბორისტთა პარტიიდან.

„მოსარჩელენი“ მოითხოვენ, რათა რედაქცია პასუხისგებაში იქნას მიცემული იმისათვის, რომ მან შარშან, დეკემბერში „დეილი უორკერში“ მოათავსა ცნობა, სადაც აღნიშნული იყო, რომ თათბირები საფრანგეთისა და ინგლისის პროფკავშირულ ლიდერთა შორის მხოლოდ საფარს წარმოადგენს იმისას, რათა ახალი ლაშქრობა მოაწყონ ინგლისის მუშათა საარსებო დონისა და ხელფასის წინააღმდეგ, აგრეთვე იმისას, რომ მუშათა კლასი ჩააბან ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტების ომის მექანიზმში.

პირველ სხდომებზე პრიტის ჯვარედინი კითხვების შედეგად სიტრინი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ იგი არის ავტორი მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც მთავრობამ გამოიყენა მშრომელთა საარსებო დონის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. მან აღიარა აგრეთვე, რომ ტრედ-უნიონთა გენერალური საბჭო არ წასულა იმის წინააღმდეგ, რომ ცალკეულ პროფსაბჭოებს მინიჭებოდათ უფლება აღარ მოიწვიონ ყოველწლიური პროფკავშირული კონფერენციები.

სიტრინმა აღიარა, რომ ინგლისის მთავრობამ პროფკავშირთა ინგლის-საფრანგეთის კომიტეტის წევრებს ინგლისიდან საფრანგეთს წასვლისა და უკან დაბრუნების სპეციალური ნებართვა მისცა.

სიტრინმა აღიარა აგრეთვე, რომ მთელი კაპიტალისტური პრესა ენტუზიაზმით შეეგება პროფკავშირთა ინგლის-საფრანგეთის კომიტეტის შექმნის ამბავს. გამორკვეულია, რომ სადილი, რომელიც პარიზში ამ კომიტეტის შექმნის გამო მოეწყო, საფრანგეთის შრომის მინისტრს გაუმართავს.

ლონდონი, 3 მაისი (საკდესი). იმ სასამართლო პროცესის მეორე დღე, რომელიც სიტრინმა და ტრედ-უნიონთა გენსაბჭოს სხვა წევრებმა გაზეთ „დეილი უორკერის“ რედაქტორთა წინააღმდეგ აღძრეს, უმთავრესად იმ კითხვებს მოუნდა, რომლებსაც დამცველი პრიტი აძლევდა სიტრინს.

პრიტი შეეკითხა სიტრინს საფრანგეთის იმ კანონების შესახებ, რომლებიც მიმართულია მუშების წინააღმდეგ. უპასუხა რა პრიტს ამ კითხვაზე, სიტრინმა აღიარა, ეს კანონები მნიშვნელოვნად აუარესებენ ფრანგი მუშების მდგომარეობას. მაგრამ სიტრინმა სავსებით გაამართლა საფრანგეთის მთავრობის მოქმედება.

„მესარჩელეთა“ ვექილ ჯოუიტის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც გაილაშქრა კომუნისტების წინააღმდეგ, პრიტმა კვლავ მიიღო სიტყვა და განაცხადა, რომ, როგორც ეტყობა, მხოლოდ სიტრინმა და ჰიქსმა არ იციან, რომ ინგლისელი მუშების ათობით ორგანიზაციებმა მიიღეს რეზოლუციები, რომლებითაც ისინი ჰგმობენ ომს.

პროცესის მესამე დღეს „ბრალდებულთა“ დასაცავად სიტყვა მიეცა მათს ვექილ პრიტს. თავის სიტყვაში პრიტმა განაცხადა, რომ ინგლისელი კომუნისტები ომის წინააღმდეგ გამოდიან, მაგრამ არავის არ შეუძლია უსაყვედუროს მათ, თითქოს ისინი თავიანთ მოქმედებაში არაგულწრფელი ზრახვებით ხელმძღვანელობდნენ. შეეხო რა პროფკავშირთა ინგლის-საფრანგეთის საბჭოს სხდომებს, პრიტმა განაცხადა:

„თუ მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელები იმისათვის ხვდებიან ერთმანეთს, რომ განიხილონ მუშათა ხელფასის ან შრომის პირობების ხარჯზე „დათმობათა“ საკითხები, რაც უნდა კეთილი განზრახვებიც ამოძრავებდეთ მათ, შეიძლება განვაცხადოთ, რომ თავიანთი მოქმედებით ისინი თავისადმი უნდობლობას სთესავენ და მუშათა კლასის ინტერესებს ჰღალატობენ“.

ინგლის-საფრანგეთის ესკადრა ალექსანდრიაში ჩავიდა

ლონდონი, 3 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ალექსანდრიიდან (ეგვიპტე) იუწყება, რომ დღეს იქ ჩავიდა ინგლის-საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ესკადრა.

დაპატიმრება საფრანგეთში

პარიზი, 3 მაისი (საკდესი). პარიზის პოლიციის პრეფექტმა ლანჟერონმა გუშინ განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო სენის დეპარტამენტში დაპატიმრებულია 2.170 კაცი.

1 მაისს პრესაში გამოქვეყნებული იყო ცნობა პარიზში ექვსი კომუნისტის დაპატიმრების შესახებ. მეორე დღეს გაზეთებმა განაცხადეს, ეს დაპატიმრებული კომუნისტები „სიკვდილით უნდა დაისაჯონო“.

საომარი მოქმედება დასავლეთის ფრონტზე

პარიზი, 3 მაისი (საკდესი). საფრანგეთის ოფიციალურ კომუნიკეში საომარი მოქმედების შესახებ, რომელიც გუშინ საღამოს გამოქვეყნდა, ნათქვამია: „მოქმედებდნენ მეწინავე რაზმები. პატრულების შეტაკება ვოგეზებში ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა. ჩრდილოეთის ზღვაში ამ უკანასკნელი ოპერაციების დროს ძალიან დაზიანდა ერთი ჩვენი საესკადრო ნაღმოსანი. ერთი ჩვენი სადარაჯო გემი ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა. ჩვენმა წყალქვეშა ნავმა ნაღმი ესროლა მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავს“.

დღევანდელი დილის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ფრონტზე შუაღამემდის მხოლოდ კანტი-კუნტად ისმოდა სროლა ორივე მხრივ.

საბჭოთა პავილიონის წარმატება პლოვდივის ბაზრობაზე

სოფია, 2 მაისი (საკდესი). პლოვდივის ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონის დამთვალიერებელთა რაოდენობა არ მცირდება.

„მრეწველობის“ განყოფილებაში დამთვალიერებელი ჩერდება სსრ კავშირის დიდ რუკასთან, რომელიც თვალსაჩინოდ ცხადჰყოფს დიადი ინდუსტრიული სახელმწიფოს ძლიერებას.

„საგარეო ვაჭრობის“ განყოფილებაში დამთვალიერებლის ყურადღებას იპყრობს ნავთის პროდუქტების, საბჭოთა ბამბის, შავი ლითონების, ბეწვეულის, ბუხარისა და სამარყანდის შესანიშნავი ხალიჩების ნიმუშები.

მოედანზე, პავილიონის მახლობლად, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და იარაღებს შორის, გლეხები დეტალურად ათვალიერებენ გაზგენერატორულ ტრაქტორს „ხტზ“-ს და გულდასმით ანგარიშობენ მის ეკონომიურ უპირატესობას.

ექსკურსიის ხელმძღვანელი ძლივს ასწრებს პასუხის გაცემას მრავალ შეკითხვაზე.

მაგიდებთან, სადაც მოთავსებულია შთაბეჭდილებათა წიგნები, დიდი რიგებია. პავილიონის ხელმძღვანელობა იძულებული იყო კიდევ რამდენიმე წიგნი მიემატებინა, მაგრამ ისინი მაინც საკმარისი არ არის.

ყველა ჩანაწერი აღტაცებას გამოსთქვამს საბჭოთა ქვეყნის დიდებითა და პროგრესით, რაც გამოხატულია საბჭოთა პავილიონის სტენდებითა და ექსპონატებით.

საღამოს, პავილიონის თეთრ კედლებზე, რომლებიც გამოყენებულია როგორც ეკრანი, დამთვალიერებელთა თვალწინ იშლება საბჭოთა ხალხების ყოფაცხოვრებისა და ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის ნათელი სურათები.

ქალაქის მეორე ბოლოში, საბავშვო დაწესებულებათა ერთერთ დიდ დარბაზში, დამთვალიერებლები დიდ ხანს ეცნობიან სტენდებს, სადაც მოთავსებულია ფოტოსურათები, დიაგრამები, სურათები და გრაფიკა, რომლებიც ასახავენ 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის საჰაერო კონვენციის დამტკიცება

სოფია, 3 მაისი (საკდესი). გუშინ ბულგარეთის პარლამენტმა (სახალხო კრებამ) ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის საჰაერო კონვენცია, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1939 წლის დეკემბერს სოფიაში.

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 4 მაისი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ ნარვიკის ჩრდილოეთით მოგერიებულია მტრის იერიშები.

გერმანიის ჯარს, რომელიც ტრონჰეიმიდან ჩრდილოეთისაკენ მიიწევს, წინააღმდეგობას უწევენ მხოლოდ ნორვეგიის ჯარის ნაწილები, ვინაიდან დასავლეთის სახელმწიფოთა შეიარაღებულმა ძალებმა ნამსოსის რაიონი უკვე დასტოვეს. ტრონჰეიმის რაიონში ნორვეგიის ჯარის სარდალი ჯარისადმი ბრძანებაში სინანულით აღნიშნავს: დასავლეთის სახელმწიფოებმა ნამსოსიდან თავიანთი ჯარი ისე გაიწვიეს, რომ მე არ გამაფრთხილესო. რამდენადაც ნორვეგიის ჯარი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, სარდალმა დროებითი ზავი შემოგვთავაზა. ონდალსნესის რაიონში დაგვნებდა 128 ოფიცერი და 2.500 ჯარისკაცი. გერმანიის ავიაცია ზვერვას განაგრძობდა ნორვეგიასა და ჩრდილოეთის ზღვაში.

გუშინ გერმანიის ყუმბარმშენებმა ჩასძირეს ინგლისის სახაზო გემი. 3 მაისს ღამით ინგლისის 5 თვითმფრინავმა უშედეგოდ მიიტანა იერიში გერმანიის საყარაულო გემზე ჩრდილოეთის ზღვაში. ჩამოგდებულ იქნა მტრის ორი თვითმფრინავი.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 3 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ნარვიკში გერმანიის ჯარის გარშემორტყმა გრძელდება. ნორვეგიის სამხრეთ ნაწილში გერმანიის ჯარი, რომელიც ნორვეგიის ჯარის მიერ უკუგდებული იყო ესტერდალენის ხეობაში, ამჟამად კვლავ წინ მიიწევს ჩრდილოეთის მიმართულებით.

ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ გუშინ ინგლისის სამხედრო საჰაერო ძალები თავს დაესხნენ დანიის დიდ ავიაბაზას იუტლანდიის ჩრდილო სანაპიროზე და კვლავ ყუმბარები დაუშინეს სტავანჰერისა და ფორნებოს ავიაბაზებს.

საფრანგეთის ცნობები

პარიზი, 3 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება: ნორვეგიაში წარმოებულ საომარ მოქმედებაში მონაწილეობას იღებს საფრანგეთის ალპიურ მსროლელთა რამდენიმე ბატალიონი. მოდიან მაშველი ძალები. მოკავშირეთა ჯარი მიუახლოვდა გერმანიის ჯარს ნარვიკის რაიონის ყველა უბანზე.

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 4 მაისი (საკდესი). ამერიკის სააგენტოს—ნორტ ამერიკენ ნიუსპეიპერს ალიანსი კორესპონდენტი ოლდრიჯი იუწყება: მე მოწმე ვიყავი, რომ ინგლის-საფრანგეთის ჯარმა ნამსოსის რაიონში უკან დაიხია. უკანდახევა,—აცხადებს ოლდრიჯი, — იმდენად აჩქარებული იყო, რომ ოპერაციის ნახევარი ნაწილი დღისით მოახდინეს. ასეთი გაქცევის შედეგად ინგლისელებმა დიდძალი ხალხი დაჰკარგეს. გერმანიის თვითმფრინავები განუწყვეტლივ უშენდნენ ტყვიამფრქვევს და ჰყრიდნენ ყუმბარებს ნავსადგურსა და ქალაქში. ინგლის-საფრანგეთის ჯარმა უკან ისე დაიხია, რომ არავითარი საფარი არ ჰქონია, სიჩქარეში მათ მიატოვეს იარაღი, სამხედრო საჭურველი, ტელეფონები, რადიოდანადგარები, საველე სამზარეულო, ტანსაცმელი; ყოველივე ამის გემებში ჩატვირთვა მათ ვერ მოასწრეს.

სათადარიგოთა გაწვევა საბერძნეთში

სოფია, 4 მაისი (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ საბერძნეთში არმიაში გაიწვიეს 1919 წლიდან 1923 წლამდე, 1929 და 1930 წლების და 1932 წლიდან 1934 წლამდე გაწვევის სათადარიგო ოფიცრები და ჯარისკაცები.

ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბა.

ჩვენი გაზეთი ახლა ხუთდღიურია

სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთი „კოლმეურნეობის გზით“ გასულ წლებში თვეში ერთხელ ძლივს გამოდიოდა.

რამდენიმე თვის წინათ კოლმეურნეობის პირველადმა პარტორგანიზაციამ მოისმინა კედლის გაზეთის რედკოლეგიის მოხსენება. პარტიულმა კრებამ გამოიტანა დადგენილება კედლის გაზეთი გამოსულიყო 15 დღეში ერთხელ და ამ მიზნით დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

გადახალისდა რედკოლეგიის შემადგენლობა. მე რედაქტორად დამამტკიცეს.

მოვიწვიეთ კედლკორთა თათბირი და გავაცანით მათ პარტორგანიზაციის გადაწყვეტილება. კედლკორები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კედლის გაზეთის გეგმის შედგენაში, შეგვპირდნენ დახმარებას. მაშინ ჩვენს კედლის გაზეთს 20 კედლკორი ჰყავდა და აქედან გაზეთში სისტემატურად მხოლოდ 3-4 თანამშრომლობდა. თათბირის პირველ დღეს 10 წერილი მივიღეთ. მეორე დღეს კედლის გაზეთის მორიგი ნომერიც გამოვუშვით.

მიმდინარე წლის იანვარში 2 ნომერი გამოვუშვით. თებერვალში გადავედით ათდღიურზე და გამოვუშვით 3 ნომერი. სოფლკორების და საკოლმეურნეო აქტივის მონაწილეობა კედლის გაზეთში დღითიდღე ძლიერდებოდა. რედკოლეგიის წევრთა შორის გავანაწილეთ დავალებები და 1 მარტიდან გადავედით გაზეთის 5 დღიურად გამოშვებაზე. ვამზადებთ ნიადაგს იმისათვის, რომ მალე გადავიდეთ სამდღიურზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ კედლის გაზეთში დაბეჭდილი არცერთი შენიშვნა არ დარჩეს უყურადღებოდ. მაგალითად, ჩვენმა კედლის გაზეთმა ამხილა საკოლმეურნეო მიწების მითვისებლები, რომლებმაც ჩამონაჭერ ნაკვეთებზე თავისთვის დათესეს. გამგეობამ პირველად არ მიაქცია ამას ყურადღება. დავსწერეთ ამის შესახებ მეორეჯერ, რის შემდეგ დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს. კოლმეურნეობას არ ჰქონდა საბავშვო ბაგა, რაც იწვევდა ქალების მოცდენას. ამის შესახებ დავსწერეთ წერილი კედლის გაზეთში, ამავე დროს საკითხი დავაყენეთ კოლმეურნეობის გამგეობაში. ამჟამად ბაგისათვის გამოყოფილია ბინა, შერჩეულია ხელმძღვანელი, მომზადებულია ინვენტარი და საცაა ბაგა კიდეც გაიხსნება.

ჩვენს კოლმეურნეობას ამ გაზაფხულზე 25 ცენტნერი ქერის თესლი აკლდა. გამგეობა აჭიანურებდა მის გადაცვლას. ამაზედ კედლის გაზეთში დავსწერეთ წერილი, როცა არაფერი გამოვიდა, წერილი რაიონულ გაზეთშიც გავგზავნეთ. საქმეში რაიმიწგანი ჩაერია. კედლის გაზეთის დახმარებით კოლმეურნეობამ დროულად მიიღო ქერის თესლი და თესვაც ვადაზე დამთავრდა.

კედლის გაზეთმა მოაწყო სოცშეჯიბრება დ. და გ. ჩუთლაშვილების მეცხვარეობის ბრიგადებს შორის. სოცშეჯიბრების მიმდინარეობაზე 4 წერილი მოვათავსეთ. კედლის გაზეთში სისტემატურად ვათავსებთ აგრეთვე წერილებს პარტიული ცხოვრების შესახებ.

ამჟამად ჩვენს კედლის გაზეთში 50 კედლკორი თანამშრომლობს. ჩვენს კედლის გაზეთში ამჟამად სწერენ ბრიგადირები, რგოლის ხელმძღვანელები, ტრაქტორისტები, მწყემსები, აგრონომი, აგროტექნიკოსები, ვეტფერშლები, აგიტატორები და სხვ. გაზეთში ფართო ადგილი აქვს დათმობილი მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების ჩვენებას, აგრეთვე ნაკლოვანებათა მხილებას. ვათავსებთ აგრონომიული ხასიათის წერილებსაც.

მუშაობის უკეთ დაყენების მიზნით სოცშეჯიბრებაში გამოწვეული გვყავს სოფ. მაღაროს კოლმეურნეობა „შრომის“ კედლის გაზეთი. ჩაბმული ვართ რაიონული გაზეთის მიერ საუკეთესო კედლის გაზეთებზე გამოცხადებულ კონკურსში. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით კედლის გაზეთებს შორის მოწყობილ სოცშეჯიბრებაში ჩვენ გავიმარჯვეთ და პირველი ჯილდო მივიღეთ.

როგორც გამოცდილებამ დაგვარწმუნა, კოლმეურნეობაში კედლის გაზეთის ყოველ ხუთ დღეში და კიდევ უფრო ხშირად გამოშვება არ არის ძნელი. საჭიროა მხოლოდ კედლის გაზეთებზე პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაძლიერება და საქმის იმგვარად დაყენება, რომ ყოველ კედლის გაზეთს თავის ირგვლივ შემოკრებილი ჰყავდეს კოლმეურნეთა ფართო აქტივი.

გ. გოგოშვილი

სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთის — „კოლმეურნეობის გზით“-ის რედაქტორი.

მესამე ხუთწლედის სესხის ტირაჟი

5 მაისს იწყება მესამე ხუთწლედის (პირველი წლის გამოშვების) სესხის მე-6 ტირაჟი. გათამაშებული იქნება 96.050.600 მანეთის 610 ათასი მოგება, მათ შორის 3.000-მანეთიანი 61 მოგება, 1000-მანეთიანი 305 მოგება, 500-მანეთიანი 3.050 მოგება, 200-მანეთიანი 61.000 მოგება და 150-მანეთიანი 545.584 მოგება.

ტირაჟი შესდგება ქალაქ ვლადივოსტოკში და გასტანს 2 დღეს.

ბოლშევიკურ პრესას

პრესის დღე არის, ვზეიმობთ,
ვამაყობთ მის სახელითა,
ვინც გამოსჭედა ლენინმა,
სტალინმა თავის ხელითა.
მიწაზე, წყალზე, ჰაერში
ბეჭდვითი სიტყვა ჰფენია,
მან შეადუღა მასებთან
კაცობრიობის გენია.
ბელადებისგან ნაწრთობი
ეს იარაღი ფრთიანი
ბელადის შუქით ელვარებს
ხმალი ფოლადის ფხიანი.
მკვეთარე ჰანგად აჟღერდა
ლენინის „ისკრის“ ძახილი,
კავკასიაშიც გაისმა
იმ ჰანგის გამოძახილი.
„ბრძოლა“ სტალინის ნაჭედი,
ზღვის ტალღა იყო რჩეული,
მიჩაგვრულთა [illegible]
გარს მასებ შემოხვეული.
ბეჭდვითი სიტყვის ნიმუში
ბელადის ენით რჩეული,
პროლეტარიატს რაზმავდა
ქარცეცხლში გამოხვეული.
ლენინ-სტალინის ძახილი
კიდით კიდემდე ატარა,
მტრის გულის გამპობ ქვემეხად
სჭექდა ფურცელი პატარა.
აღარ ჩაქრება ნათელი
სიტყვა სტალინის ჯარისა,
მსოფლიოს დიდი ოქტომბრის
გამღები არის კარისა.

გრიგოლ ხეთაგური

სოფ. ყაზბეგი.

სსრ კავშირის პოლიგრაფიული ბაზა

დამთავრდა მრეწველობის სრულიად საკავშირო აღწერა, რომელიც სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ორგანოებმა ჩაატარეს. შეგროვებულია ამომწურავი ცნობები სსრ კავშირის მრეწველობის ძირითადი ფონდების შესახებ, კერძოდ პოლიგრაფიული ბაზის შესახებ. არასრული ცნობებით, საბჭოთა კავშირში ამჟამად არის 4.600-ზე მეტი სტამბა. მათგან დაახლოებით 3 ათასი რაიონულ ცენტრებშია. ახლა სტამბები მოიპოვება უაღრესად დაშორებულ მხარეებსა და რესპუბლიკებში. ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში არის 46 სტამბა, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში 200-ზე მეტი და სხვა.

სტამბებს აქვთ 1.500 საამწყობო მანქანა, 300-ზე მეტი როტაციული მანქანა, დაახლოებით 6.000 ბრტყელსაბეჭდი მანქანა, 6.000-ზე მეტი ამერიკანულა და ბოსტონურა, დიდძალი ლითოგრაფიული ოფსეტური, საჭრელი, მკეცავი, საამკინძო და სხვა მანქანა. (საკდესი).

ტანმოვარჯიშე სტუდენტთა რესპუბლიკური შეჯიბრება

დამთავრდა ტანმოვარჯიშე სტუდენტთა რესპუბლიკური შეჯიბრება გუნდურ და ინდივიდუალურ პირველობაზე. გუნდური პირველობა მოიპოვეს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი.

პირველი თანრიგის ტანმოვარჯიშეთა შორის ინდივიდუალურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა ხაჯიევმა (ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი). მეორე ადგილი დაიკავა ამავე ინსტიტუტის სტუდენტმა ზერიძემ. ქალთა შორის პირველობა მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ე. შოგირაძემ.

1 მაისს გაიხსნა დედაქალაქის პარკები

1 მაისს, საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღესასწაულის დღეს, გაიხსნა თბილისის პარკები.

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში ბავშვთა მოედნებზე დილიდანვე გაისმა ბავშვების ჟრიამული. ყველა შენობა და ხეივანი შეკეთებულია და წესრიგშია მოყვანილი. კარგად მუშაობდნენ ახალი ატრაქციონები — სერსო, ლასო, „სპილოების კოშკი“.

1 მაისისათვის მოეწყო ახალი საცეკვაო მოედანი, სადაც თვით მომსვლელები დაუკრავენ, იმღერებენ, იცეკვებენ და ითამაშებენ.

საბავშვო რკინიგზა 6 მაისს გაიხსნება.

* * *

საპირველმაისო ზეიმის დღეებში გაიხსნა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის (ფუნიკულიორის პლატო) საზაფხულო სეზონი.

დოკუმენტალური ფილმი „მანერჰაიმის ხაზი“

ამ დღეებში თბილისში მიღებული იქნება ახალი დოკუმენტალური ფილმი „მანერჰაიმის ხაზი“. ფილმის დემონსტრაცია დაიწყება 7-8 მაისს თბილისის სამ კინოთეატრში: „სპარტაკში“, „როზა ლუქსემბურგში“ და „ოქტომბერში“.

მაისის შუა რიცხვებში ფილმი ნაჩვენები იქნება ბათუმში, სოხუმში, სტალინირში, გორში და საქართველოს სხვა რაიონებში.

„დეპუტატი“

საოპერო თეატრის ახალი სპექტაკლი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 5 მაისს მაყურებელს უჩვენებს მიმდინარე სეზონის პირველ პრემიერას, შ. თაქთაქიშვილის ახალ ქართულ ოპერას—„დეპუტატს“.

„დეპუტატი“ პირველი ქართული საბჭოთა ოპერაა, თანამედროვე თემაზე დაწერილი. მოქმედება სწარმოებს საგარეუბნო კოლმეურნეობაში და საქართველოს ერთერთ ქალაქში. ოპერის ლიბრეტო შედგენილია გ. თაქთაქიშვილის პიესის „ხალხის რჩეულის“ სიუჟეტზე.

„დეპუტატს“ სდგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აღსაბაძე, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის პროფ. ი. შარლემანს, დირიჟორობს შ. აზმაიფარაშვილი, ცეკვები დადგმულია ხელ. დამს. მოღვაწის დ. ჯავრიშვილის მიერ.

პარტიები განაწილებულია შემდეგ მომღერალთა შორის: ნანო იაშვილი—ნ. ცომაია, ტ. შარატა-დოლიძე; დეიდა დორა—ე. სოხაძე, ნ. ვალაცი, ე. გოსტენინა; ტასო—ქ. შათირიშვილი, ნ. ფირალოვა, ს. ბოკა, შმალცელი; ბებია მარიამი — მ. სუხიაშვილი, ე. ბელქანია, ვ. ქარსელი; ილია—დ. ანდღულაძე, ნ. ქუმსიაშვილი; ექ. მენაბდე—დ. გამრეკელი, გ. ვენაძე, ა. ბუთხუზი; პავლე—ვ. გერმესაშვილი, შ. ქუთათელაძე, მ. ცაგურია; ვანო—გ. გრიგორაშვილი, გ. გოგიჩაძე, ვ. ხამაშურიძე; ორი მოხუცი—ზ. სვანიძე, ა. მახაბელი, ვ. შაპოშნიკოვი, შ. მამაცაშვილი; თედო—გ. ფირუმოვი, და ი. მოლჩანოვი.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

7 მაისს, საღამოს 7 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში (მარის ქ. № 1) შესდგება თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია.

სესიის პლენარულ სხდომას შესავალი სიტყვით გახსნის უნივერსიტეტის რექტორი დოც. **დ. ყიფშიძე**. აკადემიკოსი **ივ. ჯავახიშვილი** მოხსენებას გააკეთებს „ქართული ენობრივი მასალების მიხედვით ცნებათა წარმოშობა-განვითარებისა და საზოგადოებრივი შემოქმედების შესწავლის მეთოდოლოგიისათვის“.

აკადემიკოსი **ივ. ბერიტაშვილი** მოხსენებას გააკეთებს თემაზე: „ჩონჩხის კუნთის პლასტიური თვისებების შესახებ“.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3300123, გაცემული ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ჯამასპიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2841209, გაცემული გიორგი ალექსანდრეს-ძე გაგლოშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „დეპუტატი“ (პრემიერა), **რუსთაველის სახელობის** — „ოტელო“, **მარჯანიშვილის სახელობის** — „ჩატეხილი ხიდი“, **მუსკომედია** — „ნატვრის თვალი“, **მოზარდ მაყ. თეატრი** — „კომბლე“.

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **ოქტომბერი** — „სოროჩინის ბაზრობა“, **დამკვრელი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **კომკავშირელი** — „მეზღვაურები“, **სპარტაკი** — „მხურვალე დღეები“, **ლუქსემბურგის სახ.** — „მთის ლახვარი“, **26 კომ. სახ.** — „მთის ლახვარი“, **კომინტერნი** — „მთავრობის წევრი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი 1939-40 წ. სეზონი.
6 მაისს დღის წარმოდგენა მოსწავლეთათვის დაკლებულ ფასებში
ს. კლდიაშვილი
გრაფის ქვრივი
დადგმა ალექსიძის.
დასაწყისი დღის 12 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო
თეატრს
ესაჭიროება სცენის მუშები, დურგლები და მკერავები.
პირობების გაგება შეიძლება თეატრის კანცელარიაში დღის 12 საათიდან 4 საათამდე.
80 დირექცია.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და გამომცემლობის მუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ვანო შიოშვილს მისი მეუღლის
თამარ შიოშვილის
გარდაცვალების გამო.

მეუღლე თებრონე, შვილები ოლია, დათიკო, რძალი თამარ, შვილიშვილები სოსო, მადონა იუწყებიან
გიორგი ბიჭიას-ძე ბუჩუაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6/V 7 ს. გამოსვენება 7/V 5 ს. მარის, 58, ვაკის სასაფლაოზე. 6187

ექიმი ოლღა სულხანიშვილი-ფარსადანოვისა იუწყება, რომ 6/V 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
გიორგი ივანეს-ძე ფარსადანოვის
სამოქალაქო პანაშვიდი. 6201

შვილი ტატიანა, სიძე ბესო შარაშიძე იუწყებიან მამის
ეპიფანე ჩაფოძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 5/V. 6197

ბებია მელანია, მამიდა მარიამ, ბიძა კოლია ტყემალაძე იუწყებიან, რომ 6/V 2 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
ომარ ესტატეს-ძე გვერდწითელის
სამოქალაქო პანაშვიდი. 6193

მშობლები ლოლა, ეზიკო ვაჩეიშვილები იუწყებიან, რომ 6/V 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
გივიკოს
სამოქალაქო პანაშვიდი. 6199

ცოლი ნინო, შვილები ვარია და რეზო, სიძე ვალოდია ბურჯანაძე, შვილიშვილი თენგიზი იუწყებიან, რომ 6 მაისს, დღის 2 საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება
ივანე ისაკის-ძე მენთეშაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი.

მეუღლე ვალიკო, შვილები ნანო, ქანანა, დედა ანეტა, მაზლები აკაკი, ვახტანგ სალაძეები იუწყებიან, რომ 7/V 5 ს. ქ. ზესტაფონში დანიშნულია
ელენე კონსტანტინეს-ასულ მალაღურაძე-სალაძის
სამოქალაქო პანაშვიდი.

მეუღლე ოლინკა გაბუნია და ქსენია პაპასქირი იუწყებიან
გარსევან დიმიტრის-ძე გაბუნიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 6/V 3 ს. ორჯონიკიძის ჩიხი, 4. კუკიის სასაფლაოზე. 6171

ქმარი ანდრო, მშობლები ვოლა, სიკო, შვილები ნელიკო, ქეთო, ვახტანგ, ნათელა, ლეო, ელეონორა იუწყებიან
ლიზიკო გოცირიძე-ჩიქოვანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/V 8 ს. გამოსვენება 6/V 5 ს. ორჯონიკიძის, 40-ა, კუკიის სასაფლაოზე. 6189

ივანე და ფედოსი შვილებით, სიძეებით, ცოლისძმები არტემ, ალიოშა, თედო, ვარლამ, შალვა პატარაიები იუწყებიან
ვასილ ნიკოლოზის-ძე იაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 5/V 5 ს. ათარბეგოვის, 32. 6186

ბიძა გიორგი, მამიდა სონა, ძალუა ანნა, სიძე კოლა შვილებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს [illegible] დაუვიწყარ
გივი სოსოს-ძე ჟივიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 მაისს, დღის 3 საათზე. ვერის ახალ სასაფლაოზე.

107-ე საშ. სკოლის პედკოლექტივი ტექპერსონალთან ერთად იზიარებს ამავე სკოლის მასწავლებლის პავლე ლორთქიფანიძის მწუხარებას მისი დედის
ტერეზა ლორთქიფანიძის
გარდაცვალების გამო.

თ. დევიძე, ვ. ლოლუა, ვ. ბოლქვაძე, ნ. ბაქრაძე, ნ. მელიქიშვილი, ვ. ადამია, ო. რატიანი, თ. მაილოვა, ვ. ლუღუნიშვილი, ჯინჭველაშვილი, ტ. გუგუშვილი იუწყებიან პარასკევა ანთელავას დის
ანა (გოცია) ჩიქოვანის
გარდაცვალებას. 6183

ნოე, ვიქტორ, ვარლამ უზნაძეები, ნინო ფაჩულია, ალვასი კიკნაძე, სარა საყვარელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ 6/V 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
დავით ჩიტოს-ძე მაჭავარიანის
სამოქალაქო პანაშვიდი. 500

ბიძაშვილი ოლღა კობახიძე შვილებით, სიძეები ცინაძე, ხმალაძე ცოლშვილით, შვილიშვილი ვასო ცინაძე ცოლშვილით იუწყებიან
ნუცა დაფქვიაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 5/V 5 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 6191

გრიშა ბზიავა მეუღლით მერით, სიძე ნესტორ მეუღლით აგრაფინათი, შვილი საშა მეუღლით პლატონ პეტრიაშვილით იუწყებიან
მარინე დავითაია-კაჭარავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/V ს. აბაშაში. 6179

დედა, მეუღლე პელაგო, შვილები დათიკო, გოგიტა, ბორია, ძმა პლატონ, დები ნატა, ნაუშა, ნინო იუწყებიან
ლუკა ნესტორის-ძე ხვიჩიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 7/V ცხაკაიაში. 6194

გამომცემლობა „კომუნისტის“ გარაჟის თანამშრომლები იუწყებიან ივანე შიოშვილის მეუღლის
თამარის
გარდაცვალებას. გამოსვენება 5/V 4½ ს. ბელინსკის 24, კუკიის სასაფლაოზე. 6174

მშობლები ლუცია, დიმიტრი, და თამარ გვასალიები იუწყებიან
ნინო (ჟენია) გვასალიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/V 7 ს. გამოსვენება 6/V 5 ს. სანაპიროს, 11, კუკიის სასაფლაოზე. 6163

დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდის მთლიანი კოლექტივი იუწყება ამავე კოლექტივის წევრის გუგულია ჯაველიძის დედის
ეპრაქსია ისიდორეს-ასულ ჯაველიძის
გარდაცვალებას. 6155

საქართველოს ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ქირურგიული და უროლოგიური კლინიკის და ენდოკრინოლოგიური სადგურის ექიმები იუწყებიან
ბუხუ ბარქაიას
გარდაცვალებას. 6127

და მენიკო, დისწულები საშურა, გოგოლია შვილით ოთარით, ბაბულია, გრიშა შამუგიები, ძმა ალექსანდრე გაწერელია ოჯახით იუწყებიან
ეპრაქსია გაწერელია-ჯაველიძის
გარდაცვალებას. 6166

ცოლი მაშო, შვილები დორა, ქსენია, ვახტანგ, ტარიელ, კაკო იუწყებიან
იაგორ დიმიტრის-ძე სანადირაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/V ს. ზედავანში. 6164

ჰიდროენერგოპროექტის თბილისის განყოფილების ხრამჰესის ბიუროს თანამშრომლები იუწყებიან ირაკლი თვალაძის მამის
დიმიტრი ანდრიას-ძე თვალაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/V ქ. ქუთაისში. 6168

მე-35 საშ. სკოლის პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ამავე სკოლის თანამშრომელს ქეთევან წივწივაძეს მისი მამის
ეგნატე ისაკის-ძე მენთეშაშვილის
გარდაცვალების გამო. 6196

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—21, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—171